პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 3 ივნისი, 1952 წ. № 130 (9290). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

გეგმას ყველა საწარმო უნდა ასრულებდეს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
თბილისის მშრომელები მოითხოვენ ამერიკელთა მხეცობის შეწყვეტას კორეაში (მე-2 გვერდი).
კომუნიზმისათვის ურყევი მებრძოლი (მე-2 გვერდი).
მ. ი. კალინინის მუზეუმში (მე-2 გვერდი).
საკავშირო ეკონომიკის გამნიავებელი უნდა დაისაჯოს (მე-3 გვერდი).
ნ. შველიძე—დემოკრატიული პოლონეთის კინოფილმების ფესტივალი (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — უვიცობა თუ დაუდევრობა? (მე-3 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, განცხადება დასავლეთის სანდო ელჩებისადმი.
საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 24 მაისის ნოტის გაგრძ. (მე-4 გვერდი).
თავისუფლება ეაკ დიუკლოს! (მე-4 გვერდი).

გეგმას ყველა საწარმო უნდა ასრულებდეს

მძლავრი შრომითი აღმავლობაა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში. სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ სტალინის სახელობის ორთქლმავალმაგონშემკეთებელი ქარხანა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი, ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანა და ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სხვა საწარმო. მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის მებრძოლთა ავანგარდშია ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სახელოვანი კოლექტივი, რომელმაც ბრწყინვალე საწარმოო მაჩვენებლებით გაატარა სამშობლო გასულ წელს და რომელიც კიდევ უფრო მეტი ენერგიით მუშაობს ამ დღეებში ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

მოწინავე საწარმოებთან ერთად ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი ფაბრიკა-ქარხანა და შახტი, რომლებიც სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ. ამ საწარმოთა ხელმძღვანელების ცუდი და უნაათო მუშაობის შედეგად სამშობლოს ყოველთვიურად ათასობით და მილიონობით მანეთის პროდუქცია აკლდება.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: **„ჩვენი გეგმები არის არა გეგმები-პროგნოზები, არა გეგმები-ვარაუდები, არამედ გეგმები-დირექტივები, რომელნიც სავალდებულონი არიან ხელმძღვანელი ორგანოებისათვის და რომელნიც განსაზღვრავენ ჩვენი სამეურნეო განვითარების მიმართულებას მომავლისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით“.**

ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო გეგმა კანონია და იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს, რომ გეგმის შეუსრულებლობის დაშვება კანონის საწინააღმდეგო ქმედობას უდრის. ამიტომ არის, რომ პარტია მკაცრად აფრთხილებს ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებს: თუ არ გამოასწორებენ მდგომარეობას და არ უზრუნველყოფენ სახელმწიფო გეგმების შესრულებას, ისინი უნდა გამოეთხოვონ თავიანთ საწარმოებს.

უკანასკნელ ხანს მუშაობა გააუარესა ამერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ. რუსთავის მეფოლადეებმა აპრილის გეგმა ვერ შეასრულეს. მარტენის ღუმელის ქვედის თვითეულ კვადრატულ მეტრზე ფოლადის მიღება გადიდების ნაცვლად პირველ კვარტალთან შედარებით მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად შემცირდა. გასულ ოთხ თვეში გამოშვებულია რამდენიმე ტონა დაბალხარისხოვანი ფოლადი. ამის გამო საგრძნობლად გაიზარდა ტონაჟ ფოლადის თვითღირებულება.

ქარხნის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია მარტენის საამქროს ცუდი, გაუმართავი მუშაობა. საამქროში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა, ნაკლები ყურადღება ექცევა მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლებას. ამის შედეგად გასულ ხუთ თვეში საამქროში მოხდა ტექნოლოგიური პროცესის 500-ზე მეტი უხეში დარღვევა. იმის გამო, რომ საწარმოს სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ურიგდებიან და მათი აღმოფხვრისათვის ენერგიულ ზომებს არ იღებენ, საამქროში მდგომარეობა გამოსწორების ნაცვლად სულ უფრო უარესდება.

რუსთავის მეტალურგებმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით და დიდ ბელადს პირობა მისცეს მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ 1952 წლის სახელმწიფო გეგმა. ამ საპატიო და პასუხსაგები ამოცანის პირნათლად შესრულებისათვის საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება, განმტკიცდეს ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა, ბოლშევიკური შეურიგებლობით გაჩაღდეს ბრძოლა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს მეშახტეები მთლიანად ცუდად როდი ასრულებენ სამბობის ამოღების სახელმწიფო დავალებებს. მაგრამ გეგმის შესრულების საშუალო მაჩვენებლებს იქით საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელები ვერ ხედავენ დიდ ნაკლოვანებებს და შემწყნარებლად ეპყრობიან ცალკე შახტებისა და უბნების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამორჩენას. ახალციხის შახტა-სამმართველო წლების განმავლობაში ვერ ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმას. შახტებში მთლიანად არ არის გამოყენებული საწარმოო სიმძლავრეები, არის მოწყობილობისა და მუშახელის მოცდენის მრავალი შემთხვევა.

ბევრ შემთხვევაში პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სათანადო სამინისტროები ურიგდებიან ზოგიერთ საწარმოთა მიერ გეგმების შეუსრულებლობას და საჭირო ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ ამ სამარცხვინო მოვლენას. მეტეხის მშრალი წნეხვის აგურის ქარხანამ გასული წლის გეგმა ვერ შეასრულა. ჩამორჩენა წელსაც გრძელდება. მუშაობაში ძალიან დიდია წუნი. შარშან გამოუშვეს 980.000 ცალი დაბალხარისხოვანი აგური, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოშვებულია 56.000 ცალი. საწარმოში ჩაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ენუქიძე უპასუხისმგებლოდ აცხადებს, „თავისებური პირობების“ გამო ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა შეუძლებელიაო. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მცდარ და არსებითად მავნე შეხედულებას პარტბიუროს მდივანი ამხ. გეჯაძეც იზიარებს. ცუდად მუშაობს საკარიერო მეურნეობა. გამოუყენებელია მექანიზმები. ოთხი ექსკავატორიდან მხოლოდ ერთი მუშაობს და ისიც დიდი შეფერხებებით. დაზიანებული ექსკავატორების შეკეთება თვეობით ჭიანურდება.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და პარტიის კასპის რაიონული კომიტეტისათვის კარგად არის ცნობილი ქარხნის საკალო მდგომარეობა. არსებობს სამინისტროსა და რაიკომის ბიუროს არა ერთი ბრძანება და დადგენილება მთელ რიგ სერიოზულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. მაგრამ ეს ბრძანებები და დადგენილებანი ზანტად, დიდი დაგვიანებით სრულდება. როგორც ჩანს, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. პაატაშვილი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მის მიერ ხელმოწერილ ბრძანებებს, არ იღებს გადამჭრელ ზომებს მათი აუცილებლად შესრულებისათვის.

დაიწყო წლის პირველი ნახევრის უკანასკნელი, გადამწყვეტი თვე — ივნისი. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა ივნისში კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა ნახევარი წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საჭიროა თვითეული საწარმოს მუშაობა ისე მოვაწყოთ, რომ იგი მუდამ რიტმულად და გრაფიკის მიხედვით წარმოებდეს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოწყობილობის მთელი სიმძლავრით გამოყენებას, საწარმოებში სისუფთავისა და წესრიგის დაცვას.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს საწარმოო გეგმის განხორციელებისათვის. გეგმის შესრულება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზე, ჩვენს უნარსა და სურვილზე გამოვიყენოთ ჩვენი უაღრესად მდიდარი შესაძლებლობანი. **„ჩვენი საწარმოო გეგმის რეალობა,** — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **ეს მშრომელთა მილიონებია, რომლებიც ახალ ცხოვრებას ქმნიან. ჩვენი პროგრამის რეალობა—ეს ცოცხალი ადამიანებია, ეს თვითონ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, ჩვენი ნებისყოფა შრომისადმი, ჩვენი მზადყოფნა ვიმუშაოთ ახლებურად, ჩვენი სიმტკიცე გეგმის შესრულებაში“.**

ჩვენი მრეწველობის შემდგომი წარმატებანი დიდად არის დამოკიდებული პარტიული მუშაობისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე, მის სრულყოფაზე. მასების შემოქმედებითი ინიციატივა, პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა იქითკენ უნდა წარვმართოთ, რომ თვითეული ფაბრიკა და ქარხანა, თვითეული შახტი და სარეწი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს სახელმწიფო გეგმას, ღირსეული წვლილი შეჰქონდეს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ეკონომიური ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცების საქმეში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის ამხ. პ. ა. იუდინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის ამხ. პ. ა. იუდინის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და სამრეწველო მშენებლობის დარგში მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. პავლე ალექსანდრეს-ძე **იუდინი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1952 წ. 30 მაისი.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

თბილისის № 2 საკონდიტრო ფაბრიკა ყოველთვიურად 60 ტონა პროდუქციას უშვებს. სურათზე: შესაფუთავ სამკრეში სტახანოველები ნ. კუბლაშვილი (მარცხნივ) და თ. სალალოვა ყუთებში აწყობენ საკონდიტრო ნაწარმს.

ფოტო ვ. გინზბურგისა

აგური გეგმის გადამეტებით

ხაშური. (საკ. კორ.). საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივმა კვადამდე — 30 მაისისათვის შეასრულა აგურის გამოშვების საწარმოო დავალება. გამოშვებულია 530 ათასი ცალი წითელი აგური, ხოლო მაისის გეგმის გადამეტებით დაყალიბებულია 102 ათასი ცალი აგური. ამასთან დაზოგილია 24 ტონა საწვავი, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში მუშაობის კარგ ნიმუშებს იძლევიან აგურის გამომტვირთავი ა. ბეზრუკოვი, გამომწველი კ. ბითაძე, თიხის მზელავები ქ. არბოლიშვილი, ა. თიგიშვილი და სხვები.

100 ადგილი ქართველი სტუდენტებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უმაღლესი სკოლებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების, აგრეთვე პედაგოგიური სასწავლებლების სამართველომ მიიღო ცნობა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე სსრ კავშირის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოდან სასწავლებლად გასაგზავნი ახალგაზრდობისათვის გამოყოფილია 100 ადგილი.

ამ უმაღლეს სასწავლებლებში გაიგზავნებიან საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებული ის ახალგაზრდები, რომლებსაც კურსი დამთავრებული აქვთ ოქრის და ვერცხლის მედალზე და ამასთან საფუძვლიანად არიან დაუფლებულნი რუსულ ენას.

მეშახტის დღის შესახვედრად

შრომითი აღმავლობა ჭყიბულის შახტებში

ტყიბული. (საკ. კორ.). ფართოდ ჩაღდება მეშახტის დღისათვის მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მრავალი მეშახტე სტახანოვურ ვახტზე დგას და მაღალ საწარმოო წარმატებებს აღწევს.

მეშახტის დღისათვის მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორმა — მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა 13 დღით ადრე გაახალდა ქვანახშირის ამოღების ხუთი თვის დავალება. მაისის დარჩენილ დღეებში მეშახტეებმა ათასობით ტონა ქვანახშირი ამოიღეს ივნისის ანგარიშში.

დიდი შრომითი აღმავლობაა. გელათის შახტში. 25 დღეზე მეტია, რაც ამ შახტის მოწინავე კოლექტივი ქვანახშირს ივნისის ანგარიშში იღებს. განსაკუთრებით დიდ წარმატებას აღწევენ ის უბნები, რომლებსაც ამხ. პ. ჩიხლაძე და ნ. გელენტაძე ხელმძღვანელობენ. აპრილთან შედარებით მოწინავე უბნებმა ქვანახშირის საშუალო-სადღეღამისო ამოღება რამდენიმე ათეული ტონით გაადიდეს.

ქვანახშირის ამოღების ხუთი თვის გეგმა ასევე ვადაზე ადრე და გადაჭარბებით გაანაღდა ლენინის სახელობის შახტმა.

იბრძვიან მეტი ქვანახშირისათვის

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის ბრძოლაში ტყვარჩელელი მეშახტეები მაღალ საწარმოო წარმატებებს აღწევენ. 24 მაისს პირველ ცვლაში ტყვარჩელის ბერიას სახელობის შახტის კოლექტივმა ხუთი თვის გეგმა შეასრულა და მას შემდეგ ივნისის ანგარიშში იღებს ქვანახშირს.

აღსანიშნავია ამ შახტის მე-4 საექსპლოატაციო უბნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის თვალსაჩინო წარმატება, რომელსაც წარჩინებული მეშახტე ა. ძნელაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები ყოველდღიურ დავალებებს 125-130 პროცენტით ასრულებენ.

სტალინის სახელობის შახტის მე-6 უბნის კოლექტივი, რომელიც სადღეღამისო ციკლური გრაფიკით მუშაობს, ყოველდღე ათობით ტონა ქვანახშირს იღებს გეგმის გადამეტებით. უბნის მეშახტეებმა 23 მაისს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 160 ტონისა, 270 ტონა ქვანახშირი ამოიღეს.

მაისში საგეგმო დავალებას ყოველდღე გადაჭარბებით ასრულებდა ახიბლარის შახტის კოლექტივი. მაისის პირველი ნახევრის 12 გეგმა შახტმა 115 პროცენტით გაანაღდა. მეტი ქვანახშირისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებშია ამ შახტის პირველი საექსპლოატაციო უბანი.

საქართველოს მეშახტეების მიერ დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის გასანაღდებლად და მეშახტის დღის ღირსეული შეხვედრისათვის ტყვარჩელელი მეშახტეები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობას, იბრძვიან მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის.



ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ძაფსახვევი ფაბრიკა. სურათზე: სამდაზგოანი ძაფისამომხვევი ლიდა ზაიარინა, რომელიც ციალა ღლონტის მეთოდით მუშაობს და ყოველდღიურ გეგმას 109-110 პროცენტით ასრულებს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა

ჩაის ფოთლის კრეფა

1 ივნისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-მაისის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებული იყო 59,4 პროცენტით. თუ მაისის მეხუთე ხუთდღიურში მოიკრიფა 5.008,9 ტონა ჩაის ფოთოლი, მეექვსე ხუთდღიურში მოკრეფილია 5.827,4 ტონა.

ბათუმის რაიონში ჩაის კრეფის აპრილ-მაისის გეგმა შესრულებულია 67,2 პროცენტით, ქობულეთის — 63,1, ქედის — 55,6, გალის — 59,8, ოჩამჩირის — 68,6, გულრიფშის — 89,8, სუხუმის — 70,9, გუდაუთის — 74, მახარაძის — 54,1, ჩოხატაურის — 74,7, ლანჩხუთის — 58,1, სამტრედიის—57, წულუკიძის — 50,8, ქუთაისის — 61,1, წყალტუბოს — 64,1, ტყიბულის — 36, ცხაკაიას — 51,8, აბაშის — 43, გეგეჭკორის — 63,8, ზუგდიდის — 52,2, წალენჯიხის — 59, ჩხოროწყუს — 71,3, ხობის — 60, თერჯოლის — 73,3, ხოლო ზესტაფონის რაიონში—93,3 პროცენტით.

მახარაძის რაიონის ცნობები არასრულია.

სიმინდის თოხნა გააჩაღეს

აბაშა. (სპეც. კორ.). კარგად მუშაობენ სოფელ სეფიეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ გეგჰთ გათვალისწინებული 440 ჰექტარი სიმინდი წელს რაიონში ყველაზე ადრე და მაღაონხარისხოვნად დათესეს.

კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ს. ოჩიგავა) წარმატებით დაიწყო ნათესების მარგელა, უკვე გათოხნილია 100-ზე ჰექტარი სიმინდი. მარტო თოხნაზე ყოველდღიურად 200 კაცი მუშაობს. სტახანოველი მერგოლური, 65 წლის ალექსანდრე რურუა, რომელმაც შარშან კოლმეურნეობაში 730 შრომადღე გამოიმუშავა, ხშირად დღიურ ნორმას ერთიორად ასრულებს. მან პირობა დადო რგოლის 19,7 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან უზრუნველყოს საშუალოდ ჰექტარზე სულ მცირე 30 ცენტნერი მოსავლის მოყვანა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კრება თბილისში

1 ივნისი—ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე თბილისელმა დედებმა, ბავშვთა აღზრდის დაწესებულებათა მუშაკებმა, ქალთა აქტივმა, სახალხო განათლებისა და პიონერული ორგანიზაციების მუშაკებმა ფართოდ აღნიშნეს. საღამოს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო საერთო საქალაქო კრება. თეატრის დარბაზი აივსო რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოთა მოწინავე სტახანოველი მუშა ქალებით, დასახლისებით, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და კულტურის ფრონტის გამოჩენილი მოღვაწე ქალებით.

ყვავილებით მორთულ სცენას ამშვენებს ბავშვთა დიდი მეგობრის პროგრესული კაცობრიობის ბელადისა და მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის პორტრეტი, აგრეთვე მისი უანგარო თანამებრძოლების — ვ. მ. მოლოტოვის, გ. მ. მალენკოვისა და ლ. პ. ბერიას პორტრეტები. სცენის სიღრმეშია დიდი ლენინის ბიუსტი. კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბუჯიაშვილი, მ. მეგრელიშვილი, გ. ფირცხალავა, პ. რატიანი, ი. ოქრუაშვილი, გ. ზედგინიძე, მ. მაღრაძე, პ. გილაშვილი, გ. ჯიბლაძე, მარიამ ბურჭულაძე, ა. ხორავა, პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი, თამარ მათიაშვილი, ალექსანდრა თოიძე, ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე, ვ. ანჯაფარიძე, თინათინ მრევლიშვილი, დიასახლისი ვერა ჯინჭარაძე და სხვ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საერთოსაქალაქო კრება გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ მარიამ ბურჭულაძემ. კრებამ ერთსულოვნად, ხანგრძლივი ოვაციით კრების საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისა და ჩვენს ქვეყანაში ბავშვებისათვის სტალინური მზრუნველობის შესახებ მოხსენება გაკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. თამარ ლაშქარაშვილმა.

სიტყვები წარმოთქვეს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გამოჩენილმა სტახანოველმა მქსოველმა ეკატერინე მეხრაძემ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ქეთევან ლომთათიძემ, რვა შვილის დედამ, თბილისელ დიასახლისთა წარმომადგენელმა ვერა ჯინჭარაძემ და სტუდენტმა ლია ნადარეიშვილმა.

ორატორებმა ერთსულოვნად გამოთქვეს თავიანთი გულისწყურომა ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, რომლებიც მხეცურად უსწორდებიან კორეელ ხალხს, თავიანთი ურჯულკობით გადააჭარბეს ჰიტლერელებს, ღვრიან უდანაშაულო კორეელი ბავშვების სისხლს და ყველა საშუალებით ცდილობენ აღორძინონ ფაშიზმი, ხელახლა გაჩაღონ მსოფლიოს ხალხთა შორის ომი. ამასთან ორატორებმა აღნიშნეს ის დიდი ზრუნვა, რომელიც ციალა ღლონტის მეთოდით მუშაობს და ყოველდღიურ გეგმას 109-110 პროცენტით ასრულებს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საერთოსაქალაქო კრება

ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, რომლებიც მხეცურად უსწორდებიან კორეელ ხალხს, თავიანთი ურჯულკობით გადააჭარბეს ჰიტლერელებს, ღვრიან უდანაშაულო კორეელი ბავშვების სისხლს და ყველა საშუალებით ცდილობენ აღორძინონ ფაშიზმი, ხელახლა გაჩაღონ მსოფლიოს ხალხთა შორის ომი. ამასთან ორატორებმა აღნიშნეს ის დიდი ზრუნვა, რომელიც გარემოსილი არიან ბავშვები საბჭოთა ქვეყანაში, ლონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კაცობრიობის მომავლის—ბავშვების დასაცავად და აღსაზრდელად.

—დაე იცოცხლონ, გაიხარონ საბჭოთა ბავშვებმა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბავშვებმა!

— გაუმარჯოს ყველა ბავშვის დიდ მეგობარს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების დიდ მედროშეს ამხანაგ სტალინს!

ამ შეძახილებით ამთავრებდა ყოველი ორატორი თავის სიტყვას.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი საერთოსაქალაქო კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

ვოლგა-დონის არხზე ნავიგაციის წინ

მთავრდება ვოლგა-დონის სანაოსნო არხზე ნავიგაციისათვის მზადება.

სამდინარო ფლოტის სამინისტროში საკდესის კორესპონდენტს აცნობეს:

სტალინგრადის ნავსადგურის რეიდზე მოდის სულ უფრო მეტი გემი, დატვირთული ბიგებით დონბასისა და როსტოვის ოლქის შახტებისათვის, ხე-ტყის მასალით აზოვ-შავი ზღვის სანაპიროზე და ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში მდებარე საწარმოთა და ახალშენებათათვის, აგრეთვე სხვა ტვირთებით.

შორს აღარ არის ის დრო, როცა დაიწყება გემების საცდელი გატარება რაბებში. ვოლგიდან არხის რაბებში პირველნი გაივლიან ხე-ტყით დატვირთული კარავანები.

ახალი სანაოსნო მაგისტრალით იცლიან მოსკოვ-ვოლგის არხის სანაოსნოსა და ვოლგის სატვირთო-სამგზავრო სანაოსნოს კომფორტაბელური სამგზავრო გემები და თბომავლები. ყველა გემი დაკომპლექტებულია ეკიპაჟით, რომელსაც კარგად აქვს ადგილობრივ შესწავლილი არხისა და ციმლიანსკის წყალსაცავის ტრასი.

სამდინარო ფლოტის სამინისტრომ დაამტკიცა სამგზავრო გემების მიმოსვლის ხაზები. ყველაზე დიდი სატრანზიტო ხაზია მოსკოვი-დონის როსტოვი, რომლის სიგრძე 3.267 კილომეტრს უდრის.

ეწყობა ათზე მეტი ადგილობრივი და საგარეუბნო ხაზი: სტალინგრადი-დონის კალაჩი, დონის როსტოვი-ციმლიანსკის ნავსადგური, კრასნოარმეისკი-სტალინგრადი, დონის კალაჩი — ნოვი როგაჩიკი და სხვები.

ადგილობრივ ხაზებზე იცლიან ახლად მოწყობილი ორგემბანიანი ხომალდები, ხოლო საგარეუბნო ხაზებზე — „მოსკვიჩის“ ტიპის გემები. (საკდესი).

პირველი რაბვა ვოლგა-დონზე

კრასნოარმეისკი, 1 ივნისი. (საკდესი). დღეს ვოლგის მხრიდან არხში შესასვლელთან გახსაკუთრებული გამოცოცხლება იყო. მდინარის ტრამვაით, კატერებითა და ნავებით, ავტომანქანებითა და ავტობუსებით, ველოსიპედებითა და ფეხით მოვიდა აქ ათეულ ათასობით სტალინგრადელი, რათა ენახათ გემების პირველი რაბვა ვოლგის კიბეზე.

ადგილობრივი დროით 17 საათზე ვოლგა-დონის სანაოსნოს კრასნოარმეისკის რაიონული სამმართველოს უფროსმა დისპეტჩერმა ამხ. რუნოვმა № 306 საბუქსირო თბომავლის კაპიტანს ამხ. იგნატიევს გადასცა სტალინგრადიდან ციმლიანსკის ჰიდროკვანძამდე წასვლის პირველი რეისის გეგმა — ბრძანება და დებარკადერები გასაჩერებელი პუნქტებისათვის. 18 საათსა და 15 წუთზე თბომავალი და დებარკადერები შეეიდნენ პირველი რაბის კამერაში.

რამდენიმე წუთს კამერა წყლით ივსებოდა ზედა მოცულობის დონემდე. შემდეგ დაიწყო მუშა კარის დაშვება. გზა გახსნილია. გემი გაემართა მეორე რაბისაკენ. განმეორდა იგივე პროცედურა, და თბომავალმა დებარკადერებთან ერთად გზა განაგრძო, ხოლო პირველ რაბში ამ დროს კაპიტან გავრილოვს შეჰყავდა № 303 საბუქსირო თბომავალი ახალი დებარკადერებით. ნავმისადგომ კედელთან რიგში იდგა მიწახაპია.

ამრიგად, დღეს ვოლგის კიბეზე დაიწყო გემების მიმოსვლა. ამავე დროს კრასნოარმეისკის რაიონულმა სამმართველომ გახსნა ახალი სამგზავრო ხაზი სტალინგრად-კრასნოარმეისკი. ამ ხაზზე მიმოსვლა იწყო „მოსკვიჩის“ ტიპის ექვსმა სამდინარო ტრამვაიმ.

ჯურბინების მონგაქი

მუშათა დაბა ციმლიანსკი, 30 მაისი. (საკდესი). ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურზე მიმდინარეობს უკანასკნელი მზადება პირველი აგრეგატის სამრეწველო ექსპლოატაციისათვის. ამავე დროს ამონტაჟებენ მეორე და მესამე ჰიდროტურბინებს.

მეორე აგრეგატის ასოცტონიანი სტატორი ორ დღეზე ნაკლებ ხანში დაიდგა. მგრაგნელთა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ოსტრიუნი ხელმძღვანელობს, ვადაზე ოთხი დღით ადრე საიზოლაციოდ მოგრაგნა სტატორის თავები. სტახანოვურად შრომობენ მემონტაჟეთა სხვა კოლექტივებიც. უახლოეს დღეებში ადგილზე დაიდგმება ტურბინის მუშა ბორბალი და სხვა კვანძები.

გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს მესამე ჰიდროაგრეგატის მონტაჟი.

სადგურის შენობას ხარაჩოები მოხსნეს. ციმლიანსკის ჰესი მალე ჩადგება ჩვენი ქვეყნის მოქმედ ენერგეტიკულ საწარმოთა მწყობრში.

თბილისის მშრომელები მოითხოვენ ამერიკელთა მხეცობის შეწყვეტას კორეაში

ხალხის რისხვა

მაიდანეკი და ოსვენციმი, დახაუ და ბუხენვალდი!—ერუანტელს ჰგვრის კაცობრიობას ამ სახელების მოგონება, რომლებიც დაკავშირებულია იმ ომთან, ფაშისტურმა გერმანიამ თავს რომ მოახვია მსოფლიოს. ადამიანთა მეხსიერებიდან ჯერ არ ამოშლილა სიკვდილის ეს ფაშისტური კერები. ცივილიზაციას ჯერაც არ ჩამორეცხია ფაშიზმის სისხლიანი ხელით დასმული სამარცხვინო დაღი! და ახლა კიდევ კოჯედო!

თავისი ჯოჯოხეთურობით კოჯედომ გადააჭარბა საპნის ფაშისტურ ქარხანას, რომლის ნედლეული ბავშვის თოთო ხორცი იყო, ჰიტლერელთა საქსოვ ფაბრიკას, რომლის ნედლეული წამებით მოკლული ქალების თმა იყო. ადამიანთა წამებით მკვლელობაში თავისი გამოგონებებით კოჯედომ გადააჭარბა ყოველგვარ ფანტაზიას. ტყვიასთან და სახრჩობელასთან ერთად ადამიანის მოსასპობად აქ გამოყენებულია დასენიანებული რწყილი და ბუზი, ბაღლინჯო და ობობა — სიკვდილის მთესველი ეს ახალი საშუალება.

სამხრეთ კორეის ოდესღაც მშვიდობიან, დღეს კი სიკვდილის კუნძულ კოჯედოზე ამერიკელ ბარბაროსთა ხელით იღუპებიან კორეელი და ჩინელი ტყვეები — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ადამიანები. კოჯედოდან, დღეს სიკვდილის ამ ახალი ამერიკული სამზარეულოდან ისმის წამებულ ადამიანთა გმინვა და კვნესა. ეს ხმა აძრწუნებს ცივილიზებულ კაცობრიობას.

ეს ხმა სწვდება მსოფლიოს ყველა კუთხეს. ეს ხმა ძმური სოლიდარობის გრძნობით აღანთებს მილიონობით საბჭოთა ადამიანის გულს.

ძმური სოლიდარობის გრძნობამ შეკრიბა გუშინ, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი საპროტესტო მიტინგზე, რომელიც გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. დაშნელმა.

სახელდახელოდ მოწყობილი ტრიბუნიდან გაისმოდა გულისწყრომით აღსავსე სიტყვები ამერიკელ აგრესორთა მხეცობის წინააღმდეგ, რომლებიც ჯოჯოხეთური საშუალებებით სპობენ უმწეო ტყვეებს კოჯედოს საკონცენტრაციო ბანაკში.

— საბჭოთა ხალხის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის პროტესტის ხმას ვუერთებ ჩემს აღშფოთებას ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ. გმირული შრომა იქნება ჩვენი წვლილი მშვიდობის საქმეში! — ამბობს სტახანოველი მექვაბე ი. მაჩაიძე, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი.

გმირი კორეელებისა და ჩინელებისადმი ძმური სოლიდარობის გრძნობით გამთბარი სიტყვები წარმოთქვეს სამეედლო საამქროს სტახანოველმა, ბრიგადირმა გ. დათუაშვილმა, რომელიც სტახანოვურ ვახრზე დადგა, და საქვაბე საამქროს უფროსმა მ. კბილაძემ.

ამერიკელ აგრესორებს სძულთ ადამიანი. ადამიანი! — რა დიდებულად, ჟღერს ეს უძვირფასესი სიტყვა საბჭოთა ქვეყანაში! ადამიანთა კეთილდღეობა, მათი ჯანმრთელობა და ბედნიერება, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა, — აი ზრუნვის მთავარი საგანი ჩვენში. —ამ საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ქარხნის ექიმმა ნინო ჯუმბაძემ.

რეზოლუციაში, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული, ქარხნის კოლექტივი აღშფოთებას გამოთქვამს სიკვდილის მთესველ ამერიკელ აგრესორთა მოქმედების წინააღმდეგ. თავდადებული, გმირული შრომა იქნება ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის პასუხი კაცთმოძულე ომის გაშაყლებლებისადმი.

ამერიკელი ბარბაროსები მსოფლიოს ხალხთა სამსჯავროს წინაშე წარდგებიან. კაცობრიობა არ აპატიებს მათ უდანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრას. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, რადგან მშვიდობის საქმეს წინ მიუძღვის საბჭოთა ქვეყანა, დიდი სტალინი.

ბოლო მოვუღოთ ამერიკელთა ბოროტმოქმედებას

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტთა საპროტესტო მიტინგი გახსნა ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ტერელაძემ.

პირველი სიტყვა წარმოთქვა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ამხ. ვ. ფანჩვიძემ.

— საბჭოთა ხალხი, — თქვა მან, — ისე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, აღშფოთებულია კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ ამერიკის სამხედრო ხროვის ავაზაკური მოქმედებით. ჩვენ ვგმობთ ამ საზიზღარ დანაშაულობას და მოვითხოვთ მის აღკვეთას.

ამხ. ვ. ფანჩვიძემ მიტინგის დამსწრეთ მოუწოდა თავიანთი ხმა შეუერთონ მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრე ადამიანთა ხმას, მტკიცე პროტესტი გამოთქვან ამერიკელი იმპერიალისტების ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ.

— ამერიკელ იმპერიალისტთა მხეცობა, — განაცხადა ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ვ. მაჭავარიანმა, — დიდად აჯარებს ჰიტლერელ ფაშისტ დამპყრობთა უსაზიზღრეს დანაშაულობას. უოლსტრიტელმა ბანდიტებმა დაკარგეს ადამიანის სახე. ისინი მხეცურად უსწორდებიან უდანაშაულო სამხედრო ტყვეებს, ფიხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

მკაცრი საპროტესტო სიტყვები წარმოთქვეს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა უ. ობოლაძემ, მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტის გამგემ ა. ვილოვამ და მე-3 კურსის სტუდენტმა ნ. სალაძემ.

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მკაცრად დაგმო ამერიკელ იმპერიალისტთა საზიზღარი დანაშაულობანი.

სასვიკი სასჯელი დამნაშავეებს

სამუშაო დღე დამთავრდა. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები შეიკრიბნენ საერთოსაფაბრიკო მიტინგზე, რათა გამოთქვან თავიანთი პროტესტი ამერიკელი აგრესორების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

მიტინგი გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. ზვიადაძემ, რომელმაც სიტყვა მისცა სტახანოველ მქსელავს ლ. ოპაროვას.

—მთელი მსოფლიო,—ამბობს ლ. ოპაროვა,—აღშფოთებულია ამერიკელ იმპერიალისტთა ახალი სისხლიანი ბოროტმოქმედებით. ამერიკელებმა კორეის მშვიდობიანი კუნძული კოჯედო სიკვდილის ბანაკად გადააქციეს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მე მოვითხოვ ბოლო მოეღოს ამერიკელთა მხეცობას კორეაში.

ტრიბუნაზეა მრავალდაზგოსანი მქსოველი მ. ალიოხინა.

— ჩვენ, მშრომელები, — თქვა მან, — მკაცრ პროტესტს ვაცხადებთ ამერიკელთა ბარბაროსული მოქმედების წინააღმდეგ და მოვითხოვთ კორეაში ომის შეწყვეტას.

— ფაბრიკის ახალგაზრდობასთან ერთად, ამბობს სტახანოველი მგრეხავი ე. მილაძე, — მინდა გამოვთქვა უდიდესი გულისწყრომა ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებმაც თავიანთი მხეცობით ჰიტლერელებს გადააჭარბეს. სიტყვას ვიძლევი ყოველდღიურად ავიმაღლო წარმოების კულტურა და გამოვუშვა მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, — ამბობს გამომყვანი განყოფილების გამგე დ. დამოცევი, — კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას მშვიდობისათვის. მუყაითი შრომით შემდგომშიც განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

ამერიკელი აგრესორები, — ამბობს სარემონტო ბრიგადის ბრიგადირი მ. გასიევი,—თვალს ვერ აუხვევენ მშვიდობისმოყვარე ხალხებს, ვერ მიჩქმალავენ თავიანთ სისხლიან დანაშაულობას კორეაში. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოვითხოვ დამნაშავეთა სასტიკ დასჯას.

სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სკოლის უფროსმა ოსტატმა ვ. ლეჟავამ.

მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილია ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედებანი.

კომუნიზმისათვის უკუყევი მებრძოლი

(მ. ი. კალინინის გარდაცვალების მე-6 წლისთავისადმი)

ძველი რევოლუციონერი ბოლშევიკების სახელოვან, გმირულ კოჰორტაში, რომლებმაც ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით შექმნეს ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია მიხეილ ივანესძე კალინინს.

დიდი რევოლუციონერი, რომელშიც შეხამებული იყო მასების გამოჩენილი ორგანიზატორის ნიჭი, ლენინ-სტალინის უკვდავი იდეების ბრწყინვალე პროპაგანდისტის ოსტატობა, ძველი მუშის დიდი ცხოვრების გამოცდილება და მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოს ხელმძღვანელის სიბრძნე, ამხანაგი კალინინი მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლით გვიჩვენებდა კომუნიზმის საქმისათვის გმირული სამსახურის მაგალითს.

მ. ი. კალინინი ტვერელი გლეხის შვილი იყო. მან ადრე იგემა მკაცრი გაჭირვება და სიღარიბე. 14 წლისა იძულებული გახდა სამუშაოთ წასულიყო. 4 წელიწადს იცხოვრა ერთი მემამულის ოჯახში როგორც „საშინაო სამუშაოთა შემსრულებელმა ბიჭმა“, ხოლო 1893 წლიდან 17 წლისამ დაიწყო ქარხნის მუშის ცხოვრება, მოწაფედ შევიდა პეტერბურგის სავაზნე ქარხანა „ძველ არსენალში“. პუტილოვის ქარხანაში, სადაც მან მუშაობა 1896 წელს დაიწყო, მიხეილ ივანეს-ძე ეზიარა რევოლუციურ მოძრაობას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“ და გახდა პუტილოველი მუშების რევოლუციური მარქსისტული წრის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მას შემდეგ მ. ი. კალინინმა თავისი სიცოცხლე სამუდამოდ დაუკავშირა ბოლშევიკურ პარტიას, კომუნიზმის დიდ საქმეს.

ამხანაგ კალინინის რევოლუციური მოღვაწეობა მიმდინარეობდა რუსეთის უდიდეს ინდუსტრიულ ცენტრებში. მასაც რევოლუციონერს კარგად იცნობდნენ პეტერბურგის, თბილისის, რეველის, მოსკოვის მუშები. აქ მ. ი. კალინინი აქტიურად ეწეოდა პარტიულ მუშაობას არალეგალობის ძნელ პირობებში.

ლენინურ-სტალინური წრთობის პროფესიონალი რევოლუციონერი, პროლეტარული რევოლუციის საქმის დიდი ერთგული, მიხეილ ივანეს-ძე გაბედულად და მტკიცედ მიდიოდა ლენინისა და სტალინის მიერ დასახული გზით. ამ ბოლშევიკის ნება ვერ გატეხა მრავალგზის დაპატიმრებამ და გადასახლებამ, რომლებსაც იგი განიცდიდა. 1900 წელს თბილისს გადასახლებულმა, ამხანაგმა კალინინმა ქმედითი მონაწილეობა მიიღო თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში, რომელსაც ი. ბ. სტალინი მეთაურობდა. რეველში, სადაც იგი გადასახლებულ იქნა თბილისში დაპატიმრების შემდეგ, მ. ი. კალინინმა სხვადასხვა საწარმოს მუშებისაგან მოაწყო სოციალ-დემოკრატიული წრე, გააჩაღა ფართო რევოლუციური მოღვაწეობა და დაუკავშირდა ლენინურ „ისკრას“, მისი აგენტი და გამავრცელებელი გახდა.

1905 წელს ამხანაგი კალინინი მეთაურობდა პუტილოვის ქარხნის ბოლშევიკურ ორგანიზაციას და ხელმძღვანელობდა მუშათა მებრძოლი რაზმების შექმნასა და წვრთნას. მოსკოველი მუშების დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მღელვარე დღეებში მიხეილ ივანეს-ძე მოსკოვის აჯანყებულ პროლეტარიატთან, სოლიდარობის ნიშნად პუტილოველი მუშების გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. მალე იგი პეტერბურგელი ბოლშევიკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე, სადაც იგი არჩეული იყო პეტერბურგელი ბოლშევიკების დელეგატად, მ. ი. კალინინი პირველად შეხვდა ვ. ი. ლენინს. იქვე შეხვდა ი. ბ. სტალინს. დიდ ბელადებთან ერთად, მათი ხელმძღვანელობით მიხეილ ივანეს-ძე შეურიგებლად ებრძოდა მენშევიკებს და სხვა ოპორტუნისტებს, იცავდა რევოლუციურ, ბოლშევიკურ ხაზს.

მუშათა კლასის საქმის უსაზღვრო ერთგულებამ, არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკის დიდმა გამოცდილებამ, პროფესიონალი რევოლუციონერის შესანიშნავმა ორგანიზატორულმა ნიჭმა ამხანაგი კალინინი დააწინაურა ბოლშევიკური პარტიის უდიდეს მოღვაწეთა რიგებში. 1912 წელს VI (პრაღის) პარტიულ კონფერენციაზე იგი არჩეულ იქნა ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად და ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროში, ხოლო უფრო გვიან კოოპტირებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. ამ პერიოდში მ. ი. კალინინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკური „პრავდის“ მუშაობაში.

პირველი მსოფლიო ომის წლებში მ. ი. კალინინი უდიდეს მუშაობას ეწეოდა ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტში. იგი აღადგენდა პოლიციის მიერ განადგურებულ საქარხნო ორგანიზაციებს და მგზნებარე ბოლშევიკის მთელი ენერგიითა და მონდომებით იბრძოდა მენშევიკების, ესერების, ტროცკისტების გამცემლური ხაზის წინააღმდეგ, იცავდა მთავრობის დამარცხების და იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ბოლშევიკურ ლოზუნგებს.

ამხანაგი კალინინი ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში.

საბჭოების ხელისუფლების დამყარების შემდეგ მ. ი. კალინინის ორგანიზატორული ტალანტი ახალი ძალით განვითარდა. სოციალისტურმა რევოლუციამ ყოფილი გლეხი და პიტერელი მუშა, ბოლშევიკი რევოლუციონერი მ. ი. კალინინი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის მაღალ პოსტზე დააწინაურა. ი. მ. სვერდლოვის გარდაცვალების შემდეგ, 1919 წელს, ვ. ი. ლენინის წინადადებით ამხანაგი კალინინი არჩეულ იქნა საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 1922 წლის დეკემბერში, როცა სსრ კავშირი შეიქმნა, — სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 27 წლის მანძილზე მიხეილ ივანეს-ძე მთელ თავის ძალას ახმარდა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების, მუშებისა და გლეხების კავშირის გაძლიერების, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

რკპ (ბ) VIII ყრილობიდან დაწყებული ამხანაგ კალინინს უცვლელად ირჩევდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1926 წლიდან — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

მჩქეფარე და მრავალფეროვანი იყო მიხეილ ივანეს-ძე კალინინის მოღვაწეობა. ვიგანტურ სახელმწიფო მუშაობაში ჩაბმული, იგი პოულობდა დროს მშრომელთა მრავალ კრებაზე გამოსასვლელად, ახალგაზრდობასთან, რიგითს საბჭოთა ადამიანებთან მეგობრული, გულწრფელი საუბრების გასამართავად. მ. ი. კალინინის სიტყვები, მისი გამოსვლები სულ სხვადასხვა საკითხებზე უდიდეს როლს ასრულებდნენ და ასრულებენ საბჭოთა ხალხის სულიერი შეიარაღების საქმეში, სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

კალინინი განასახიერებდა დიდი რუსი ხალხის საუკეთესო თვისებებს, როგორიც არის ნათელი გონება, დიდი სიბრძნე, სიმტკიცე და ურყევობა სამშობლოს ინტერესების დაცვაში. მას ხალხი წმიდა, მამაშვილური სიყვარულით უყვარდა. „გიყვარდეს საბჭოთა ხალხი, — ამბობდა მ. ი. კალინინი, — იბრძოდე მასთან ერთად კომუნიზმისათვის; რა შეიძლება იყოს უფრო კეთილშობილური და უფრო დიადი პოლიტიკური მოღვაწის ცხოვრებაში!“.

სწორედ ასეთი პოლიტიკური მოღვაწე, თავისი ხალხის უსაზღვროდ მოყვარული, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მასთან ერთად მებრძოლი, ლენინურ-სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწე იყო მიხეილ ივანეს-ძე კალინინი.

მშრომელები მას დიდი პატივისცემითა და მხურვალე სიყვარულით უპასუხებდნენ. მიხეილ ივანეს-ძე ხალხის საყვარელი ადამიანი იყო.

ძველმა კოლმეურნემ, მ. ი. კალინინის თანამემამულემ, ივანე ალექსანდრეს-ძე სოლოვიოვმა თქვა:

— ჩვენს შვილიშვილებს ანდერძად ვუტოვებთ, რომ ეცადონ დაემსგავსონ მიხეილ ივანეს-ძეს. წესიერი, კარგი და ნათელი ცხოვრების ადამიანი იყო! ტყუილუბრალოდ როდი აფასებდნენ და უყვარდათ იგი ლენინსა და სტალინს...

რიგითი საბჭოთა გლეხის ამ უბრალო სიტყვებში მკაფიოდ არის გამოხატული საბჭოთა ხალხის აზრი და გრძნობა.

ამხანაგ კალინინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია. ხალხისადმი, სამშობლოსადმი სიყვარულის გამო მ. ი. კალინინი დაუნდობელი იყო სამშობლოს მტერთა მიმართ, ლენინიზმის მტერთა მიმართ, ყველა იმათ მიმართ, ვინც ცდილობდა ჩაეშალა კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმე. მთელი ბოლშევიკური მგზნებარებითა და პრინციპულობით იბრძოდა იგი პარტიის ლენინურ-სტალინური გენერალური ხაზისათვის.

მ. ი. კალინინის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები ჩვენს ქვეყანაში. მთელ თავის დაუცხრომელ ბოლშევიკურ ენერგიას, მთელ თავის ძალღონეს, ნიჭსა და ცოდნას ამხანაგი კალინინი ახმარდა ჩვენი სამშობლოს სოციალისტური გარდაქმნის ლენინურ-სტალინური გეგმის განხორციელებას, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეს.

მ. ი. კალინინი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უაღრესად ნიჭიერი პროპაგანდისტი იყო, რომელმაც იცოდა უაღრესად რთული საკითხების გასაგები და მარტივი ფორმით ჩამოყალიბება. მას მასებში შეჰქონდა ბოლშევიკური სიმართლის ცოცხალი სიტყვა, ლენინ-სტალინის დიადი იდეები, უძლიერება და საბჭოთა ადამიანებს სოციალისტურ შეგნებას და აღაფრთოვანებდა მათ ამ იდეების განხორციელებისათვის.

ილაშქრებდა რა ფორმალიზმისა და მედავითნეობის წინააღმდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის დროს, ამხანაგი კალინინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორია არის არა სიმბოლო სარწმუნოებისა, არა კრებული დოგმატებისა, არამედ იგი სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის. „ჩვენ ვსწავლობთ მარქსიზმ-ლენინიზმს არა იმისათვის, რომ ვიცოდეთ იგი ფორმალურად... — ამბობდა მიხეილ ივანეს-ძე მასწავლებელთა თათბირზე 1938 წელს. — ჩვენ ვსწავლობთ მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორც მეთოდს, როგორც ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც სწორად ვსაზღვრავთ ჩვენს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და პირად საქციელს. ჩვენ ვთვლით, რომ ეს ადამიანის ყველაზე ძლიერი იარაღია მის პრაქტიკულ ცხოვრებაში“.

მ. ი. კალინინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს. ამ საკითხს უძღვნა მან მთელი რიგი შრომები, სადაც დაუღალავად განმარტავდა, რომ კომუნისტური პრინციპები არის სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, მეგობრობა, ამხანაგობა, ჰუმანურობა, პატიოსნება, სიყვარული სოციალისტური შრომისადმი.

მ. ი. კალინინი დიდი სიყვარულითა და ერთგულებით ეპყრობოდა დიდ ბელადებს ლენინსა და სტალინს, რომელთა ერთგული თანამებრძოლიც თვითონ იყო. სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო XVII ყრილობაზე რუსეთის სფსრ კონსტიტუციის პროექტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში მიხეილ ივანეს-ძე ამბობდა:

„მალე ნახევარი საუკუნე შესრულდება, რაც რუსეთის მუშათა კლასს თავის ბელადებად ჰყავდა და ჰყავს ლენინი, სტალინი, რომელთა სახელებსაც გაჭირვებაში მყოფი, კოლონიურად დამონებული და კაპიტალისტური ექსპლოატაციით შეწუხებული ასობით მილიონი ადამიანი თავისი განთავისუფლების გარიჟრაჟს უკავშირებს“.

ლენინგრადში ამომრჩეველთა კრებაზე 1937 წელს წარმოთქმულ სიტყვაში მიხეილ ივანეს-ძე ამბობდა:

„ჩემი ცხოვრების მთელი ისტორია, ხოლო არსებითად მუშათა კლასის მთელი ისტორიაც ის არის, რომ ჩვენ ვცხოვრობდით და ვიბრძოდით ლენინის, სტალინის ხელმძღვანელობით... მე, ამხანაგებო, ვფიქრობ, რომ კომუნიზმისათვის წარმატებით ბრძოლა ნიშნავს იმას, რომ კვალდაკვალ მიჰყვეს სტალინს“.

საბჭოთა ხალხი დიდ პატივს სცემს მიხეილ ივანეს-ძე კალინინის, დიდი რევოლუციონერის, კომუნიზმის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლის ხსოვნას.

მ. ი. კალინინის შესანიშნავი ცხოვრება, რომელიც მან მთლიანად მოაბარა ხალხის კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას, აღაფრთოვანებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ახალი შრომითი გმირობისათვის, კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისათვის.

მ. ი. კალინინის მუზეუმში

მოსკოვში მოხოვაიას ქუჩაზე, კრემლის აღლოს, გახსნილია მ. ი. კალინინის ძველი-მუზეუმი. აქ ყოველდღე მოდიან ბევრი მოსკოველი, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი, უცხოელი სტუმრები, რომლებსაც სურთ უფრო ღრმად გაეცნონ დიდი რევოლუციონერის, ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლის მრავალფეროვან და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

მუზეუმის ყოველი ექსპონატი მოგვითხრობს ბოლშევიკური პარტიის გმირულ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის. მუზეუმის ექსპონატები მკაფიო ილუსტრაციაა მ. ი. კალინინის სიტყვებისა: „ჩემი ცხოვრების მთელი ისტორია, ხოლო არსებითად მუშათა კლასის მთელი ისტორიაც ის არის, რომ ჩვენ ვცხოვრობდით და ვიბრძოდით ლენინის, სტალინის ხელმძღვანელობით“.

მნახველები მუზეუმის ერთი დარბაზიდან მეორეში გადადიან და დიდი ყურადღებით ათვალიერებენ დოკუმენტებს. პირველ ორ დარბაზში ასახულია მ. ი. კალინინის მუშაობა ვ. ი. ლენინთან ერთად პირველ არალეგალურ მარქსისტულ წრეებში და „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“, მისი მონაწილეობა ბოლშევიკების პარტიის მშენებლობაში ლენინთან და სტალინთან ერთად. შემდგომ დარბაზებში ასახულია მიხეილ ივანეს-ძის მჩქეფარე რევოლუციური მოღვაწეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში.

მეშვიდე დარბაზში მოთავსებულია დოკუმენტები, რომლებიც მოიცავენ მ. ი. კალინინის ცხოვრების უკანასკნელ ათეულ წელს — 1935-1946 წლებს. მასალები ცხადყოფენ მიხეილ ივანეს-ძის მრავალფეროვან მოღვაწეობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წიგნებსა და ბროშურებს ვ. ი. კალინინის სიტყვებითა და სტატიებით კადრების კომუნისტური აღზრდისა და მარქსისტულ-ლენინური მომზადების საკითხებზე. აქვე ინახება ფოტოპირი მიხეილ ივანეს-ძის 1946 წლის 5 თებერვლის წერილისა ლენინგრადის საქალაქო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებისადმი. წერილი მთავრდება შესანიშნავი სიტყვებით: „...ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, განვაცხადო, რომ მე, როგორც პარტიის წევრი,—ხოლო ჩვენი პარტია განმასახიერებელია ამხანაგი სტალინი, რადგან პარტია და ამხანაგი სტალინი ერთია,—ვემსახურებოდი პარტიას და მომავალშიც ვემსახურები ჩვენს პარტიას მთელი ჩემი ძალღონით“.

მწუხარე დუმილით შედიან მნახველები სამგლოვიარო დარბაზში. ცენტრშია მ. ი. კალინინის სახის ნიღაბი. მარცხნივ მუქწითელ ხავერდზეა გადაფარული პარტიული ბილეთი, მარჯვნივ — ორდენები და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედალი „ნამგალი და უროს“.

მ. ი. კალინინის გარდაცვალების მეექვსე წლისთავთან დაკავშირებით მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები დედაქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში აწყობენ მოხსენებებს. დიდი რევოლუციონერისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა ეწყობა მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში.

ორი წლის განმავლობაში მუზეუმი დათვალიერეს სამი ათასზე მეტმა ექსკურსიამ, აგრეთვე ჩინეთის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და უცხოეთის სხვა სახელმწიფოების მშრომელთა დელეგაციებმა.

მოვითხოვთ შეწყდეს კორეაში ამერიკელთა მხეცობა

პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორები, დოცენტები, თანამშრომლები და სტუდენტები ერთსულოვნად შეიკრიბნენ მიტინგზე, რათა თავიანთი აღშფოთება გამოეხატათ კორეაში ამერიკელ ბარბაროსთა მხეცობის გამო.

— ორი წელია, — ამბობს ლექტორი ვ. მიქაძე, — მთელი მსოფლიოს ხალხები მოწმენი არიან იმისა, თუ რა ბარბაროსობას იჩენენ კორეაში ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშის საფრთ, მაგრამ ამ დროშით მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ვერ მოატყუებენ; ყველასათვის ნათელია ის ფაქტი, რომ იმპერიალისტები, შიმართავენ რა ომში კანონით აკრძალულ საშუალებებს, ულმობლად ჟლეტენ მშვიდობიან კორეელ და ჩინელ მოსახლეობას. აგრესორებმა მკაცრი პასუხი უნდა აგონ ამ გაუგონარი ბოროტმოქმედებისათვის.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი აკადემიკოსი ზავრიევი. იგი ანალიზს უკეთებს კორეაში ამ უკანასკნელ დროს მომხდარ ამბებს და აცხადებს, რომ კორეელი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, თუ რა ძალა აქვს საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხს.

ამერიკელებმა და მათმა სატელიტებმა კორეაში ათეულ ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს, იმპერიალისტები ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შეიარაღებული იბრძვიან, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს საწადელს. მშვიდობის ძალა უძლეველია.

ამერიკელი იმპერიალისტები,—თქვა პროფესორმა გ. თავზიშვილმა, — ელტენ თავისუფლებისათვის მებრძოლ კორეელ ხალხს, ხოცავენ და ცოცხლად მარხავენ ტყვე კორეელ ჯარისკაცებს. ამერიკის ბაზარზე იყიდება კორეის მუზეუმებიდან დატაცებული უნიკალური ძეგლები. მაგრამ გაუტეხელია დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის ნებისყოფა. მსოფლიო პროგრესული საზოგადოების მხარდაჭერით აღფრთოვანებული კორეელები თავგანწირვით იბრძვიან აგრესორების წინააღმდეგ.

მოგიწოდებთ შევუერთოთ ჩვენი ხმა მშვიდობისათვის მებრძოლთა ხმას, მტკიცე პროტესტი განვაცხადოთ ამ სამარცხვინო სისხლისმღვრელი ომის წინააღმდეგ.

ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში გმობს ამერიკელ აგრესორთა თავხედობას და მოითხოვს იმპერიალისტთა მხეცობის აღკვეთას.

ზიზღი ამერიკელ კაციჭამიებს

— ჩვენ მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკელ ოკუპანტთა ეს არაადამიანური მოქმედება, — ასეთი ლოზუნგით ჩატარდა თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი. ინფორმაცია გააკეთა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ვ. ართილაყვამ.

დამტენი საამქროს მექანიკოსმა ა. აგოიანმა განაცხადა:

— ჩვენი ფაბრიკის მთელი კოლექტივი შეძრწუნებულია ამერიკელთა მხეცობით, რასაც ისინი სჩადიან კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ კუნძულ კოჯედოზე და პუსანის რაიონში. ჩემს ხმას ვუერთებ ყველა პატიოსანი მშრომელის პროტესტის ხმას და მოვითხოვ ამერიკელ აგრესორთა დანაშაულებრივი მოქმედების შეწყვეტას. პირობას ვიძლევი სტახანოვური შრომით შევიტანო ჩემი წვლილი ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სიტყვას იღებს თამბაქოს საამქროს სტახანოველი ოსტატი ამხ. მ. კონოვალოვა.

— თვითეული ჩვენგანი აღშფოთებულია ამერიკელთა ავაზაკობით კორეაში. ჩვენ მოვითხოვთ ამერიკელ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას. დარწმუნებული ვარ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხი შეაჩერებს კაციჭამიების სისხლიან ხელს. პირობას ვდებ ყოველდღიური საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შევასრულო და ამით ხელი შევუწყო ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და კორეაში

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებელი უნდა დაისაჯოს

სოფელ იტრიის (ხაშურის რაიონი) გაშხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ კოლმეურნეებმა აგრონომი, ლ. გიუაშვილი აირჩიეს. კოლმეურნეთა მოლოდინი, რომ გიუაშვილი გაამართლებდა მათს ნდობას, პირნათლად შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, არ გამართლდა. მან ხელი მიჰყო საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-მტაცებლობას.

გიუაშვილის უყურადღებობის შედეგად გასულ წელს კოლმეურნეობაში მოუთოხნავი დარჩა 24 ჰექტარი სიმინდის ნათესი. შემოდგომაზე დროზე არ შეინახეს სიმინდი, აგრეთვე ბზე, ნამჯა და ჩალა, რის გამო მუშა საქონლის საკვები დიდი რაოდენობით დალპა. კოლმეურნეობაში არ იზრუნეს მუშა საქონლის სადგომი ბინების დათბუნებისათვის, მოუმზადებელი შეხვდნენ ზამთარს. სიცივისა და შიმშილის გამო დაიხოცა 117 თხა და ცხვარი, 12 ღორი, 59 სული მსხვილფეხა საქონელი. ფერმებში მდგომარეობის „გამოსწორებისათვის“ საკვების მომარაგების საკითხი მიმდინარე წლის 10 მარტს განიხილეს კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე. ამის შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ლ. გიუაშვილმა იოლი გზა აირჩია: გაყიდა 118 ცენტნერი მარცვლეული და კერძოდ შეიძინა 53.584 მანეთის საქონლის საკვები. ამისათვის, რომ თავიდან მოეცილებინა საქონლის მოვლა, ცხვრების ნაწილი კოლმეურნეებს მიჰყიდა.

გასული წლის შემოდგომაზე ლ. გიუაშვილის ნებართვით კალოდან კონტროლგაუწევლად კოლმეურნეებსა და კერძო პირებს მიჰყიდეს სიმინდი. თვითონ გიუაშვილმა ფერმიდან წაიყვანა 18,5 კილოგრამი წონის ბურვაკი, ორ კილოგრამად გააფორმა და 30 მანეთი გადაიხადა. მას კოლმეურნეობიდან მცირე ფასებში აქვს შესყიდული აგრეთვე 247 კილოგრამი სიმინდი, 283 კილოგრამი ხორბალი და 46 კილოგრამი ლობიო. სრულიად უსასყიდლოდ წაიღო კოლმეურნეობიდან 2,5 კუბმეტრი წაწვიანი ჯიშის ხის მასალა.

კოლმეურნეობამ სოფელ ჩუმათელეთის სოფლის მაღაზიას ჩაურიცხა ქატოს ღირებულებაში 1.780 მანეთი. ქატოს მაგიერ თავმჯდომარე გიუაშვილი და ბუხჰალტერი ქრისტინე გელაშვილი მაღაზიიდან თავისთვის გამომცხვარ პურს ეზიდებოდნენ. ეს პატივისცემაც არ აკმარა გიუაშვილმა თავის ბუხჰალტერს გელაშვილს. იმ დროს, როცა კოლმეურნეობაში ჩამორჩენილი იყო მუშაობა, კოლმეურნეობის ოთხი დურგალი მიამაგრა მისი სახლის მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში კი მათ 45 შრომადღე დაურიცხეს. გვიან, თავის დაზღვევის მიზნით ბუხჰალტერს შესრულებული სამუშაოსათვის გადასახდელად დააწერეს 300 მანეთი, რაც მას არ გადაუხდია.

კოლმეურნეობაში არღვევენ მიწათსარგებლობის წესებსაც. კოლმეურნეობის მიერ დამუშავებული 0,20 ჰექტარი ნაკვეთი თავმჯდომარემ თავისი განკარგულებით ბრიგადირ კოსტა კორკოტაძეს მისცა. თვითონ გიუაშვილი, რომელიც ფლობს 0,25 ჰექტარს, ამ ნაკვეთს უფასოდ ამუშავებინებს კოლმეურნეებს. ბევრი ასეთი სხვა დანაშაულიც ხდება კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლ. გიუაშვილის ასეთმა მოქმედებამ საგრძნობლად დასცა მისი ავტორიტეტი კოლმეურნეებში. მას ნაკლებად უჯერიან. კოლმეურნეობაში ძლიერ ჩამორჩა საგაზაფხულო სამუშაოები. აქ ჯერ კიდევ დასათესია 40 ჰექტარი სიმინდი, 4,5 ჰექტარი სასილოსე, 10 ჰექტარი ესპარცეტი, 2 ჰექტარი ბოსტნეული. დაუბარავი და შემოულობავია 4,5 ჰექტარი ნამყენი ვენახი.

იტრიის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლ. გიუაშვილის დანაშაულობათა შესახებ სათანადო სიგნალები შეიტანა პარტიის ხაშურის რაიკომში და რაიისაბჭოს აღმასკომში. კოლმეურნეობაში „რევიზიის“ ჩასატარებლად კიდევაც მიავლინეს სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ბუხჰალტერი ი. ბირკაძე და ამით დამთავრდა ყველაფერი. დამნაშავეთათვის პასუხი არავის მოუთხოვია.

სამუშაოების ჩამშლელნი, საკოლმეურნეო ქონების გამნიავებელნი და მათი მფარველები მკაცრად უნდა დაისაჯონ.

ვ. ბურგენიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შრომითი რეზერვების სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება

ამ დღეებში ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მოეწყო საქართველოს შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ტრადიციული X დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ბორჯომის და ენისლის სახელოსნო სასწავლებლებმა.

ორი დღის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა და მხატვრული თვითმოქმედებისა და ფიზკულტურული კოლექტივების გამოსვლები ნახა 50 ათასზე მეტმა კაცმა.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მომღერალთა, მოცეკვავეთა, დრამატული, ფიზკულტურული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო ბათუმის სპეციალური სახელოსნო სასწავლებლის ქართული და რუსული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც მრავალფეროვანი რეპერტუარი წარმოადგინა.

დათვალიერებაზე მომზადებული მოვიდნენ თბილისის მეთერთმეტე სახელოსნო სასწავლებლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მოსწავლეების ო. ჯაიანის და ნ. არეშიძის ხელმძღვანელობით, ქუთაისის მეოთხე სახელოსნო სასწავლებლის მომღერალთა გუნდი მოსწავლე გ. ბუხაიძის ხელმძღვანელობით, თბილისის მეხუთე სპეციალური სახელოსნო სასწავლებლის მოცეკვავეთა კოლექტივი მოსწავლე მ. ტოგონიძის ხელმძღვანელობით.

კარგად იყვნენ წარმოდგენილი აგრეთვე თბილისის მე-15 სახელოსნო სასწავლებლის მომღერალთა გუნდი აღმზრდელ გ. ლუტაძის ხელმძღვანელობით, ენისლის (ყვარლის რაიონი) მე-2 სახელოსნო სასწავლებლის მომღერალთა გუნდი კომკავშირის კომიტეტის მდივნის ა. სიმაშვილის ხელმძღვანელობით.

არადამაკმაყოფილებელი იყო თბილისის რკინიგზის პირველი და მეორე, მეექვსე სახელოსნო და ბორჯომის მეშვიდე სახელოსნო სასწავლებლების კოლექტივების გამოსვლა.

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭომ იკისრეს შეფობა შრომითი რეზერვების სკოლების მოსწავლეთა მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებზე. სამწუხაროდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ არც კი იცის ამ შეფობის შესახებ რაიმე. დათვალიერებას არ დასწრებია ხელოვნების საქმეთა სამმართველოს არცერთი მუშაკი.

შრომითი რეზერვების სკოლების მოსწავლეთა თვითმოქმედების განვითარებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ვ. ნოდია

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების კულტურის რესპუბლიკური სახლის დირექტორი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

უვიცობა თუ დაუდევრობა ბიბლიოთეკაში

პროფესორ კ. ი. მეგრელიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს „საქონელმცოდნეობას“*) წინასიტყვაობაში წერია: „...სახელმძღვანელო დაწერილია ეკონომიკის ფაკულტეტებისათვის და საქონელმცოდნე სპეციალისტებისათვის. იგი საკმაო დახმარებას გაუწევს საქონელმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს“.

მაგრამ წიგნი სრულებითაც ვერ ამართლებს დაპირებას. უპირველეს ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს სახელმძღვანელოს უცნაური სათაურები: „ღორის ანალიზი“ (გვ. 299), „გაყინული ზუთხის ოჯახის თევზი“ (გვ. 241), აგრეთვე ენობრივი ლაფსუსები, როგორც მაგალითად „ვაორნეეული ბარკალი არის წინა ფეხი, რომელიც შედგება ბეჭისა და მხარის ნაწილისაგან ხერხემლის შპიგით“ (გვ. 128). „ბეკონი არის ინგლისური წარმოების პროდუქტი. დღეს ცნობილია ინგლისური და ამერიკული სახის ბეკონი“ (გვ. 123), „ბეჭი არის ოვალურად გამოკვეთილი ტანის იმავე სახელწოდების ნაწილიდან, წონით 1,5-2 კილოგრამი და 7-8% მარილიანი, იყიდება ბოლში გამოყვანილი ძვლებით და კანით“ (გვ. 129), „გაზრდილი საქონლის ხორცი წითელია მარმარილოსებრი თეთრი სხივებით“ (გვ. 10) და ა. შ.

მრავალი შეცდომაა დაშვებული საქონელმცოდნეობის ცალკეული საკითხების განმარტების დროს. მოვიყვანთ წიგნიდან ზოგიერთ ამონაწერს.

„ცხიმი მაგარი კონსისტენციისა არის... სტეარინისა და პალმიტინის მჟავები, თხევადი ოლეინის მჟავა. ამასთან დაკავშირებით ცხიმი, რომელშიც ჭარბობს სტეარინისა და პალმიტინის მჟავები, მაგარია და, პირიქით, ცხიმი, რომელშიც ჭარბობს ოლეინის მჟავა რბილია“. (გვ. 5). ასეთი განმარტება სრულიად მცდარია, რადგან ცხიმი სტეარინის და პალმიტინის მჟავები კი არ არის, არამედ სხვადასხვა ცხიმმჟავების ტრიგლიცერიდების რთული ნარევია. მისი კონსისტენცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მჟავეების ტრიგლიცერიდები სჭარბობენ რთულ ნარევში. კერძოდ, რამდენადაც სჭარბობს სტეარინისა და პალმიტინის მჟავების ტრიგლიცერიდები, იმდენად მაგარია კონსისტენცია და პირიქით. ავტორი ვერ არჩევს ცხიმოვან მჟავებს ტრიგლიცერიდებისაგან და ამიტომ ხშირად იმეორებს ისეთ გამოთქმებს როგორიცაა „ცხერის ქონში მაგარი ცხიმოვანი მჟავები უდრის 56% და ამიტომ იგი დიდი სიმაგრისაა“ (გვ. 6).

გვხვდება ისეთი ადგილებიც, სადაც ავტორი „გვიმტკიცებს“, რომ ცხიმის კონსისტენცია თითქოს გამოდინარეობს ცხიმმჟავეებისა და გლიცერინის რაოდენობითი შემცველობიდან. ასევე არაზუსტად არის განმარტებული ხორცის შემადგენლობა და აღნაგობა. მაგალითად, ელენთა დაუმსახურებლად არის ამოღებული სუბპროდუქტების სიიდან. უხეიროა გამოთქმა „საკვების მომნელებელი ორგანოები იწყება პირით და მთავრდება ნაწლავების გასასვლელით“ (გვ. 17). ავტორის აზრით „მსხვილფეხა საკლავის პირველადი გადამუშავება შემდეგ ოპერაციებს შეიცავს: გრძნობის წართმევას, სუფთლიდან დაცლას, თავისა და ფეხების გაცლას, კანის მორთმევას...“ და ა. შ. (გვ. 37). საკითხის ასე განმარტება ყოველად დაუშვებელია, რადგან თავის გაცლას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს ისეთი ოპერაცია, როგორიცაა მაგალითად, თავის გატყავება, წინაღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ წუნდებულ (უსტანდარტო) ტყავნედლეულს, ასევე ფეხების მოჭრას წინ უნდა უსწრებდეს კიდურთტყავება.

შეუძლებელია დავეთანხმოთ ავტორს ნაწლავების საკლავის ნარჩენებად მიჩნევის საკითხში, რადგან ეს უკანასკნელი იხმარება როგორც ნედლეული მთელი რიგი ტექნიკური და კვების პროდუქტების მისაღებად. ავტორი უხეშად ამახინჯებს ნაკლავის ტუალეტის მიზანდანიშნულების საკითხს. მისი აზრით ტუალეტი მშრალი და სველი გასუფთავებაა და მდგომარეობს იმაში, რომ ამ დროს „აცლიან დაგროვილ სისხლს, დაეეეილ-დაზიანებულ ნაწილებს, ასწორებენ უწესოდ გაკვეთილ ადგილებს“ (გვ. 39). სინამდვილეში კი ტუალეტის დანიშნულება გაცილებით მეტია და მდგომარეობს იმაში, რომ მსხვილფეხა საქონლის და ღორის ნაკლავს ამოვაცალოთ ხერხემლის ტვინი და თირკმელები, მოვაჭრათ ძვალხრაციანი კუდი, გავხადოთ ნაკლავი შესანახავად უფრო გამძლე და სხვ. ტყუილად ჰგონია ავტორს, რომ ცური და პენისი იგზავნება ფეხების საუტილიზაციო საამქროში (გვ. 38). ფაქტიურად არც ცური, არც პენისი და არც ფეხები არ იგზავნება საუტილიზაციო საამქროში, თუ ისინი მიღებულია ჯანსაღი საკლავ-ნედლეულისაგან და ვეტინსპექციის მიერ არ არის წუნდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში საუტილიზაციოდ იგზავნება როგორც ცალკეული ნაწილები, ისე მთლიანად ნაკლავიც. უსაფუძვლოა მტკიცება, რომ ხორცის შშრალი მეთოდით დამარილებისას წონითი დანაკარგი აიხსნება „ხსნარით ექსტრაქტული ნივთიერების გამოტანის გამო“ (გვ. 118). სინამდვილეში კი წონითი დანაკარგი ძირითადად გამოწვეულია მარილით ხორცის ნაწილობრივი გამომშრობით (ე. ი. ტენიანობის დაკლებით), ხარისხისა და კვებითი ღირებულების შემცირება კი ექსტრაქტული ნივთიერების ხაწილობრივ დაკარგვით. გაუგებარია ავტორის „მტკიცება“, რომ „მარილხსნარი“, რომელშიც დამარილებულია შაშხი, „არაჩვეულებრივი სუნის“ უნდა იყოსო (გვ. 119). ანდა რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ავტორი, როდესაც წერდა: „მაგარი კონსისტენცია... მაჩვენებელია შაშხის არაკეთილხარისხოვნობისა“ (იქვე). ორივე შემთხვევაში ცდება ავტორი: მარილხსნარს უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივი სუნი, კეთილხარისხოვან შაშხს კი — მაგარი კონსისტენცია.

ხშირად ავტორი ვარდება წინააღმდეგობაში. მაგალითად, 136 გვერდზე წერს, რომ კამჩის ხორცი ძეხვეებისათვის ითვლება მეორე ხარისხოვან ძასლად. აქვე ძროხის ხორცი წარმოდგენილია როგორც მთავარი მასალა ძეხვეებისათვის. ცოტა ქვემოთ კი საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს, სახელდობრ იმას, რომ კამჩის ხორცი ითვლება კარგ ნედლეულად, ხოლო ძროხისა — მეორეხარისხოვნად. სავსებით დამახინჯებულად არის მოყვანილი ძეხვეულის წარმოების ტექნოლოგიური სქემა. ავტორი უეჭველია, ვერ ერკვევა ამ საკითხში. მას გამორჩენილი აქვს ისეთი მომენტები, როგორიცაა მსხვილად დაკეპილი ხორცის დამარილება, მომწიფება, ძეხვების დაყოვნება და სხვა. ავტორს „კუტერირების“ პროცესი არეული აქვს „შოროტირების“ პროცესში. იგი ვერ გარკვეულა წარმოებაში ხმარებულ გვარჯილის, შაქრის და ყინულის მიზანდასახულობაში. მაგალითად, იგი ამტკიცებს (გვ. 137), რომ ვითომ შაქარი ხორცს აძლევდეს სასურველ გემოს. ფაქტიურად შაქარი იხმარება ორი მიზანდანიშნულებით: პირველი, დაიცვას ნიტრიტი ნიტრატში (გვარჯილაში) გადასვლისაგან და; მეორე, როგორც რძის მჟავას წარმომშობმა საშუალებამ, ნაწილობრივად დაკონსერვოს საჩურთი. ამავე გვერდზე გვარჯილა დახასიათებულია, როგორც ხორცისათვის ფერის მიმნიჭებელი ფაქტორი. სინამდვილეში კი იგი ხორცს უნარჩუნებს მხოლოდ ბუნებრივ ფერს, მაგრამ, რაც მთავარია, კუტერირების დროს სრულებით არ არის სასურველი და საეჭვებულო, რომ საჩურთს ჰქონდეს ხორცის სპეციალური პირველადი ფერი, როგორც ამას ფიქრობს ავტორი. პირიქით, საეჭვებულია საჩურთმა მიიღოს ნიტრიტის მოქმედებიდან 1-2 საათის გავლის შემდეგ რუხი ფერი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ნიტრიტი მთლიანად დაუკავშირდა ხორცში შემავალ ჰემოგლობინს. ამრიგად ნიტრიტის მოქმედებით მიღებული ნედლეული საჩურთის რუხი ფერი ძეხვის მიღების პროცესში უბრუნდება ხორცის პირვანდელ წითელ-მიხაკისფერს.

მცდარია ავტორის შემდეგი აზრი: „მოხალვა ანიჭებს ძეხვს შემდეგ თვისებებს: ნაწლავები (გარცმა) გაშრება, გასქელდება, გახდება ნაკლებ გამტარი და მიიღებს ლამაზ შეწითლებულ გარეგან სახეს“ (გვ. 139). სინამდვილეში ნაწლავი გაშრობისაგან კი არ გასქელდება, არამედ, პირიქით, შეიჭიმნება, მოხდება გარცმის ცილას ნაწილობრივი კოაგულირება და სტერილიზაცია, რის შედეგად მოთოშული გარცმა დაიცავს საჩურთს ცილოვან და ექსტრაქტულ ნივთიერებების გამოწურვისაგან. იმავე გვერდზე ავტორს ძეხვის ხარშვისას შპიგის გადნობა სრულებით უსაფუძვლოდ მიაჩნია კარგ მოვლენად. იქვე 70° ტემპერატურა ნაჩვენებია, როგორც ცილას შედედების უმაღლესი ტემპერატურა, ფაქტიურად კი იგი უდაბლესი ტემპერატურაა, უაზრო და უსაფუძვლოა მტკიცება: „ძეხვის შებოლვას აწარმოებენ 3-7 დღის მანძილზე... 13-16° ტემპერატურაზე“ (გვ. 140), მაშინ, როდესაც ძეხვეულის უმთავრესი სახეების შებოლვა ხდება მხოლოდ 12-24 საათის განმავლობაში. ასევე შებოლვის 13-16° ტემპერატურა არასაკმაოა, საჭიროა 18-45° ტემპერატურა. შეცდომაა წარმოიდგინო დეფიბრინირებული სისხლი, როგორც სისხლიდან სეპარირებული ალბუმინი (გვ. 145). ღორის ხორცის წვრილი ძეხვი „სოსისკი“ რატომღაც დახასიათებულია როგორც ძლიერ გამოშშრალი პროდუქტი. ავტორი გვიმტკიცებს, რომ მისი ტენიანობა უნდა იყოს არა უმეტეს 25%-ისა (გვ. 150). სინამდვილეში კი ღორის ხორცის სოსისკი უნდა იყოს ნორმალური და მისი ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 60 პროცენტს.

სამწუხაროდ ავტორი ვერ ხედავს განსხვავებას ნიტრიტსა და ნიტრატს (გვარჯილას) შორის, წინაღმდეგ შემთხვევაში არ ექნებოდა ადგილი ისეთ არეულ-დარეულ ცნობებს, რომელიც ეს 299-304 გვერდებზეა მოყვანილი.

ავტორს უნდა სცოდნოდა, რომ წარმოებაში შეცდომით ნიტრატის დოზით ნიტრიტის გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს ძეხვეულის მოხმარებლის მოწამლვა. ამიტომ სახელმძღვანელო წიგნში მათს ერთი მეორეში არევას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. არასწორად არის შოცემული სახელმძღვანელოში პროდუქტების საანალიზო მეთოდები. მაგალითად, ნაცვლად ქრომატვერცხლისა ნაჩვენებია ქლორმჟავა ვერცხლის წითელი ნაშთი (გვ. 300). დამახინჯებულია ფორმულები. მორის მეთოდი იმ საზით, როგორც ეს რეკომენდებულია ავტორის მიერ მარილის განსასაზღვრად — მიუღებელია ხორცის გამონაწურის საანალიზოდ. ასევე არასწორად არის განმარტებული თევზის ხორცის შემადგენლობისა და კვებითი ღირებულების აღწერილობა.

წიგნში არის პოლიტიკურადაც მიუღებელი ადგილები, მაგალითად, 103-ე გვერდზე ავტორი გვიმტკიცებს, რომ ვითომდა ჩვენში ფრინველის ხორცს მაღალი ღირებულების გამო ხმარობენ მხოლოდ დღესასწაულებზე.

შეგვეძლო მოგვეყვანა კიდევ მრავალი ასეთი ფაქტი, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ყოველივე აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: წიგნი დახმარების ნაცვლად გზას აუბნევს მკითხველს. იგი ყალბ წარმოდგენას იძლევა ხორცისა და თევზის პროდუქტებზე. პროფესორ კ. მეგრელიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „საქონელმცოდნეობა“ ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას.

ლეონიდ ვადაჭკორია

*) პროფესორი კ. მეგრელიძე — „საქონელმცოდნეობა“ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1950 წ.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ვაჭრობის ნესების დარღვევისათვის

სტუდენტთა ქალაქის პურის მაღაზიის თანამშრომლები სამუშაოზე დაგვიანებით ცხადდებიან, მომხმარებლებს წონაში ატყუებენ, არ არის საკონტროლო სასწორი, — სწერდა სტუდენტი რედაქციას.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ დასახელებული ფაქტები დადასტურდა. მომხმარებელთა წონაში მოტყუებისათვის გამყიდველი სირაძე მოხსნილია სამუშაოდან. სტუდენტთა მომსახურების უკეთ დაყენებისათვის დასახულია სათანადო ღონისძიებანი.

* * *

თბილპურვაჭრობის № 133 მაღაზიაში, — გვწერდა მუშკორი, — არღვევენ ვაჭრობის წესებს, გამყიდველი მომხმარებლებს წონაში ატყუებს.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა თბილპურვაჭრობის დირექციას, რომელიც გვატყობინებს, რომ მომხმარებელთა მოტყუებისათვის გამყიდველი ე. კაზარიანი მოხსნილია სამუშაოდან.

ვ. ნოდია

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების კულტურის რესპუბლიკური სახლის დირექტორი

დემოკრატიული პოლონეთის კინოფიდმების ფესტივალი

ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით გაანადგურა გერმანელ ფაშისტთა ურდოები და ჰიტლერული ტირანიისაგან გაათავისუფლა ევროპის დამონებული ხალხები.

საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების შედეგად ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიქმნა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკები, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს. მტკიცედ დაადგა სოციალიზმის გზას ახალი, დამოუკიდებელი სახალხო-დემოკრატიული პოლონეთიც.

გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით პოლონელმა ხალხმა შესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. პოლონეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მოწინავე მოღვაწეები თავდადებულად მუშაობენ დემოკრატიული ხელოვნების შესაქმნელად.

ახალი, გაერთიანებული, დამოუკიდებელი სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის ხელოვნებაში კინემატოგრაფიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. პოლონეთის კინომუშაკები გულმოდგინედ სწავლობენ საბჭოთა კინოხელოვნების მიღწევებს, იყენებენ მის მდიდარ გამოცდილებას.

ძმიმე და რთულ პირობებში შეიქმნა ახალი დემოკრატიული პოლონეთის კინომრეწველობა. ოკუპაციის საშინელ წლებში ფაშისტმა ბარბაროსებმა მოსპეს პოლონეთის კინემატოგრაფია. ჰიტლერელ ჯალათთა ხელით დაიღუპა პროგრესული შემოქმედებითი მუშაკების უმრავლესობა. კინოსტუდია დაბომბილ და განადგურებულ იქნა.

პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი კინომრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ. კინოწარმოება და კინოთეატრები ხალხის ხელში გადავიდა. შეიქმნა მხატვრული, ქრონიკალური და მეცნიერულ - პოპულარული ფილმების სტუდიები. პოლონეთის კინემატოგრაფიამ მოკლე ხნის განმავლობაში შექმნა მთელი რიგი მაღალიდეური და პოლიტიკურად მახვილი ფილმები, რომლებშიც ასახულია პოლონელი ხალხის გმირული ბრძოლა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ და ომისშემდგომი წლების თავდადებული შემოქმედებითი შრომა.

2-დან 8 ივნისამდე მოსკოვში, ლენინგრადში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში ტარდება პოლონეთის რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალი. ფესტივალზე უჩვენებენ პოლონური კინოხელოვნების 10 საუკეთესო მხატვრულ ფილმს: „შოპენის სიჭაბუკე“, „ვარშავის პრემიერა“, „უკანასკნელი ეტაპი“, „აფეთქება ღამით“, „დაუმორჩილებელი ქალაქი“, „ორი ბრიგადა“, „ეშმაკის ხეობა“, „ჩემი საუნჯე“, „პირველი სტარტი“, „აკრძალული სიმღერები“.

მხატვრულ ფილმს „შოპენის სიჭაბუკე“ პირველად უჩვენებენ საბჭოთა კავშირის კინოთეატრების ეკრანებზე. სურათი დადგმულია რეჟისორ ა. ფორდის მიერ ლოძის მხატვრული ფილმების სტუდიაში. ფილმი მოგვითხრობს გენიალური პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის სიჭაბუკის წლებზე, მის შემოქმედებაზე.

ფილმში შოპენს ვეცნობით იმ დროს, როდესაც ის ვარშავის უმაღლესი მუსიკალური სკოლის მოწაფეა. პოლონეთში დაძაბული მდგომარეობაა. მზადდება აჯანყება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ფარული საზოგადოების პროგრესული წევრები ისწრაფვიან რუს დეკაბრისტებთან გაერთიანებისაკენ. მათ სწამთ, რომ ერთობლივი ბრძოლა თავისუფლებას მოუტანს პოლონეთს. კონსტიტუციური მონარქიის მომხრეებს ეშინიათ რუსებთან ერთად გამოსვლის. მათ რუსეთის მეფის წინააღმდეგ გამოსვლა მხოლოდ იმისათვის სურთ, რომ ტახტზე პოლონეთის მეფე აიყვანონ.

შოპენი მოწინავე ახალგაზრდობის რიგებშია. 1825 წლის დეკემბრის აჯანყების შემდეგ მრავალი პოლონელი პატრიოტი დააპატიმრეს, მათ შორის შოპენის უახლოესი მეგობრებიც.

ვარშავის უმაღლესი მუსიკალური სკოლის დამთავრების დროს შოპენი უკვე პოლონეთის უდიდესი კომპოზიტორი იყო.

სურათში საუკეთესოდ არის ნაჩვენები პაგანინის ჩამოსვლა ვარშავაში. მისი წარმატება აღფრთოვანებს შოპენს, შემოქმედებითი ენთუზიაზმით აღავსებს მას. ვარშავის ეროვნული ოპერის თეატრში აწყობენ შოპენის კონცერტს, რაც უდიდესი წარმატებით მთავრდება. ხალხი აღფრთოვანებით ხვდება შესანიშნავი კომპოზიტორის მუსიკას. შოპენი მიემგზავრება ვენაში. ის ეშვიდობება ნათესავებს, მეგობრებს და გულის მეგობარს კონსტანცია გლატკოვსკაიას. ვენაში ყოფნის დროს შოპენი გაიგებს ვარშავაში დაწყებული აჯანყების ამბავს. მგზნებარე პატრიოტი ცდილობს დაბრუნდეს სამშობლოში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბრძოლაში, მაგრამ ავადმყოფობა არ აძლევს ამის საშუალებას. ამ პერიოდში შოპენი ქმნის მრისხანებისა და პატრიოტული მწუხარების გამომხატველ ნაწარმოებებს. ვარშავის აჯანყება საშინელი სისასტიკით იქნა ჩახშობილი. შოპენი ვენიდან პარიზში მიემგზავრება. აქ ის ხვდება პოლონეთიდან გამოქცეულ მოწინავე ადამიანებს. პარიზში შოპენი ქმნის თავის უკვდავ რევოლუციურ ნაწარმოებს.

„შოპენის სიჭაბუკე“ აშაღელვებელი ფილმია გენიალური კომპოზიტორის სიჭაბუკის წლებზე. სურათში გამოყენებულია შოპენის, ბახის, მოცარტის, პაგანინის, ლანერის და სეროცკის მუსიკა.

გენიალური კომპოზიტორისა და მგზნებარე პატრიოტის შოპენის დაუვიწყარ სახეს ფილმში ქმნის არტისტი ჩესლავ ვალეიკო.

საბჭოთა მაყურებელი კარგად იცნობს რეჟისორ იან რუბკოვსკის მხატვრულ მუსიკალურ ფილმს „ვარშავის პრემიერას“. სურათში გადმოცემულია გამოჩენილი პოლონელი კომპოზიტორის სტანისლავ მონიუშკოს პირველი ეროვნული ოპერის „გალკას“ დადგმის ისტორია ვარშავის დიდ თეატრში, 1858 წელს.

ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ პოლონელი ხალხის გმირულ ბრძოლაზე მოგვითხრობს ფილმი „აკრძალული სიმღერები“. 1939 წლის სექტემბერში ფაშისტური გერმანიის არმია ცეცხლითა და მახვილით შეესია პოლონეთს. ჰიტლერელთა ბანდებმა მონობის უღელი დაადგეს პოლონელ ხალხს. მიუხედავად სისხლიანი, მხეცური ტერორისა, მგზნებარე პოლონელ პატრიოტებს ქედი არ მოუხრიათ ვერაგი მტრის წინაშე. ფაშისტური ოკუპაციის მძიმე წლების განმავლობაში პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე ჩაუქრობლად ენთო სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხანძარი. პოლონელი პატრიოტების თავგანწირულ ბრძოლას, მათს გმირობასა და სიმამაცეს ასახავს სურათი „აკრძალული სიმღერები“.

ფაშისტი ბარბაროსების საზარელ ბოროტმოქმედებაზე მოგვითხრობს მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ეტაპი“. სურათში ნაჩვენებია ის გაუგონარი მხეცობა და შემაძრწუნებელი სისხლიანი ბოროტმოქმედება, რასაც ფაშისტი ჯალათები სჩადიოდნენ სიკვდილის ბანაკში — ოსვენციმში.

ფილმის რეჟისორი ვანდა იაკუბოვსკაია და სცენარის თანაავტორი გერდა შნეიდერი თვითონ იყვნენ იმ ადამიანთა შორის, რომლებიც მოსასპობად გასწირეს ჰიტლერელმა ავაზაკებმა. ისინი მოწმე იყვნენ ათეულ ათასობით ადამიანის საშინელი წამებით სიკვდილისა. ყოველივე ეს შემდეგში მათ დიდი მხატვრული სიმართლით ასახეს ფილმში.

ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ კატაბრონიობა იხსნა მიხაკისფერი ჭირისაგან, რომელიც მას მოსპობით ემუქრებოდა. ამჟამად მსოფლიოს კვლავ ემუქრება ომის საშიშროება. ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ კვლავ დაანთონ მსოფლიო ომის ხანძარი. ისინი თარეშობენ სისხლით მორწყულ კორეის მიწაზე და იქ ქმნიან ახალ ოსვენციმსა და მაიდანეკს. ფილმი „უკანასკნელი ეტაპი“ მაყურებელს უჩვენებს ჰიტლერელთა საზარელ ბოროტმოქმედებას და მოუწოდებს მილიონობით ადამიანებს მთელი ძალით იბრძოლონ მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ეს სურათი პოლონეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის. იგი დაჯილდოებულია მშვიდობის საერთაშორისო პრემიით.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პოლონელი პატრიოტების თავგანწირულ ბრძოლაზე მოგვითხრობენ ფილმები „აფეთქება ღამით“ და „დაუმორჩილებელი ქალაქი“.

ფილმი „აფეთქება ღამით“ ასახავს 1944 წლის ამბებს. სილეზიის ერთ-ერთ მეტალურგიულ ქარხანაში ამზადებენ ფოლადს ფაშისტთა ტანკების ჯავშნისათვის. არალეგალური ანტიფაშისტური ორგანიზაცია ინჟინერ კაროლის მეთაურობით აწყობს აფეთქებას და ქარხანა მწყობრიდან გამოჰყავს. მალე ძლევამოსილი საბჭოთა არმიის ნაწილებს ბრძოლით შედიან ქალაქში. პოლონელი პატრიოტები საშუალებას არ აძლევენ მტრებს გაქცევის წინ გაანადგურონ ქარხანა.

ფილმში მოცემულია პოლონელი პატრიოტების გმირულ სახეთა მთელი გალერეა. ესენი არიან — ინჟინერი კაროლი (მსახიობი ვლ. ხანჩა), მედიცინის დოქტორი (მსახიობი ი. ლიანკოვსკაია), ძველი მუშა ხენცელი (ე. ბერნაცკი) და სხვ

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 31 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 31 მაისს გამოაცხადა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთებმა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებმა განვლილ დღეს წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის გააფთრებული იერიშები ფრონტების რამდენიმე უბანზე და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დასავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგემ ერთ ბატალიონამდე ძალებით, ოცზე მეტი ტანკისა და 10 თვითმფრინავის დახმარებით გააფთრებული იერიშები მოიტანა ჩვენს პოზიციებზე კორანპორის ჩრდილო-დასავლეთით. კონცენტრირებული საარტილერიო ცეცხლით და შემდეგ წარმატებითი კონტრშეტევით მთლიანად განადგურებულ იქნა მტრის ორი ასეული და მოსპობილ იქნა სამი ტანკი.

აღმოსავლეთის ფრონტზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს ჩვენმა საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 და დაზიანეს 3 თვითმფრინავი.

ფხენიანი, 1 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთებმა ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით გუშინ ფრონტის მთელ რიგ უბნებზე წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

31 მაისს აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება—დასავლეთის სახელმწიფოებისადმი საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 24 მაისის ნოტის გამო

ბერლინი, 30 მაისი. (საკდესი). როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყება გადმოგვცემს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დასავლეთის სახელმწიფოებისადმი საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 24 მაისის ნოტის გამო დღეს შემდეგი განცხადება გააკეთა.

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველი ღონისძიებით ცდილობს დადებულ იქნას საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და აღდგენილ იქნას გერმანიის ერთიანობა სრულიად გერმანიის თავისუფალი, ფაშისტური არჩევნების გზით, რადგან ეს წარმოადგენს გერმანიის მომავლის უზრუნველყოფის ერთადერთ გზას. გერმანელი ხალხი სავსებით იზიარებს მთავრობის ამ აზრს.

მიუხედავად ამისა, გერმანელ ერს მოევლინა ჯათიშვილ გაღრმავების საფრთხე, ძმათამკვლელი ომის საფრთხე. ეს საფრთხე გამოწვეულია დასავლეთ გერმანიის აგრესიული ძალების შეთანხმებით ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიულ ძალებთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იზიარებს აღშფოთებას, რამაც ამ დღეებში მოიცვა მთელი გერმანელი ხალხი ადენაუერის მთავრობის მიერ კანცლერი მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერასთან დაკავშირებით.

მთელი გერმანელი ხალხი მტკიცედ მოითხოვს ერთიანობას, საზავო ხელშეკრულებას და ამის შემდეგ მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანას გერმანიიდან. მას სურს მშვიდობიანი თანამშრომლობა და მეგობრობა ყველა სხვა ხალხთან და არა სურს მონაწილეობა სისხლისმღვრელ ავანტიურებში, რომლებსაც ამერიკის იმპერიალიზმი ევროპაში ამზადებს. ვინც მხარს უჭერს მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებას“, იგი თავის თავს გერმანელს ვერ უწოდებს. სუპარატულ ხელშეკრულებას ემხრობიან ერთი მუჭა უბადრუკი გარეწრები, რომელნიც ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ ამერიკელ ოკუპანტთა დახმარებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებით აღნიშნავს მხარდაჭერას, რაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ გერმანელი ხალხის სამართლიან ეროვნულ მოთხოვნებს გაუწია. სსრ კავშირის მთავრობა 24 მაისის ნოტით დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობებს კვლავ აძლევს წინადადებას დაუყოვნებლივ დაიდოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება და აღდგენილ იქნას მისი ერთიანობა. საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს დასავლეთის სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ დაიწყოს ოთხი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკება, რათა მალე იქნას მიღწეული გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა, ნაცვლად იმისა, რომ ეს გადაჭრა გაჭიანურდეს ნოტების შემდგომი გაცვლით.

ეს წინადადება გზას უხსნის გერმანელი ხალხის სურვილების შესრულებას და მისთვის მოვლენილი საფრთხის აიმოფხვრას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ ახალ დიდსულოვან ნაბიჯს, რომელიც კვლავ აღსტურებს საბჭოთა კავშირის მეგობრობის უდიდეს მნიშვნელობას, და მთელი გერმანელი ხალხის სახელით მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას და დიდ სტალინს.

გერმანელი ხალხი მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება დიდ სახელმწიფოთა შორის, რის შედეგადაც შეიძლება მალე მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები, რათა განხორციელდეს სრულიად გერმანიის არჩევნები და დადოს საზავო ხელშეკრულება. არ არის არც ერთი გერმანელი პატრიოტი, რომელიც სავსებით არ ეთანხმებოდეს იმას, რომ სრულიად გერმანიის მთავრობას, რომელიც ხელს მოაწერს საზავო ხელშეკრულებას, უნდა ექნეს ყველა უფლება, რომლებიც აქვთ სხვა დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთა მთავრობებს. გერმანელ ხალხს აგრეთვე თავის უთუო უფლებად მიაჩნია ჰყავდეს საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალები, რათა დაიცვას თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. იგი დიდი აღშფოთებით უარყოფს დამამცირებელ მოთხოვნას დასავლეთ გერმანიის დაქირავებული სამხედრო ნაწილების შექმნის შესახებ, რომლებიც აგრესიული ევროთეწოდებული ევროპის არმიის რიგებში უნდა ემსახურებოდნენ არა გერმანიის ინტერესებსა და მშვიდობის დაცვას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ანტიგერმანულ იმპერიალისტურ სამხედრო მიზნებს.

ამ სერიოზულ ჟამს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოუწოდებს ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ყველა გერმანელ პატრიოტს ახლა გამოიყენონ მთელი ძალები ერის გადასარჩენად. ბონის პარლამენტის მიერ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ რატიფიკაციას და მის განხორციელებას წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ უადრესად მტკიცე ეროვნული წინააღმდეგობის ყველა საშუალებით. არც ერთი გერმანელი არ უნდა გახდეს ამ დანაშაულის მონაწილე. ადენაუერის მთავრობის გამცემლური გეგმები უნდა ჩაიშალოს!

ამავე დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოუწოდებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას უფრო მტკიცედ დაიცვას მთავრობის გარშემო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დროშებით და მზარი დაუჭიროს მის ღონისძიებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განსამტკიცებლად, რომელიც იყო, არის და იქნება მშვიდობისა და ერთიანობისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის საფუძველი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებით მიეაღწიოთ გერმანიის ერთიანობას მშვიდობიანი დემოკრატიული გზით და ჩაშალოთ დასავლეთის იმპერიალისტთა გამცემლური გეგმები, რომლებიც დამონებას ნიშნავენ!

გაუმარჯოს სამართლიან საზავო ხელშეკრულებას!

გაუმარჯოს ერთიან, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელ გერმანიას!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა

პრემიერ-მინისტრის მოადგილე
ვალტერ ულბრიხტი“.

ბულგარეთის სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობის ახალი შემადგენლობა

სოფია, 30 მაისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით დღეს ვილკო ჩერვენკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ბულგარეთის სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა. ეროვნულმა საბჭომ აირჩია მუდმივი ბიუროს სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის — ვილკო ჩერვენკოვისა და წევრებისა—გიორგი კულიშევის, კირილე კლისურსკის, მაგდა გინევას, მინჩო მინჩევის, ნადია განჩევას, ნიკოლოზ გეორგიევის, პეტრე პოპზლატევის, რადო ბიღგაროვას, სლავჩო სტოილოვის, სპას მარინოვის, ხრისტო მარხოლევის, ფერდინანდ კოზოვსკის შემადგენლობით.

სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს მუდმივი ბიუროს მდივნად არჩეულია ფერდინანდ კოზოვსკი.

თავისუფლება ჟაკ დიუკლოს!

ფრანგი ხალხი პროტესტს აცხადებს დიუკლოს დაპატიმრების წინააღმდეგ

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, რომ მთელ საფრანგეთში იმართება მშრომელთა გაფიცვები. მშრომელნი მოითხოვენ ჟაკ დიუკლოს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. გუშინ გაიფიცნენ ნორის, ლუარის, ჰარის დეპარტამენტების მეშახტეები, ნიცის საქალაქო ტრანსპორტის მუშაკები, ვიდრიუპტის (შერტისა და მოზელის დეპარტამენტი) და ლუარის დეპარტამენტის მელითონეები, პარიზისა და მისი გარეუბნების მრავალი საწარმოს მუშა-მოსამსახურეები, ბრესტის, მარსელის, ჰავრის დოკერები და ნავსადგურის მუშები, აგრეთვე საფრანგეთის სხვა ქალაქების მშრომელნი.

მიტინგებსა და კრებებზე ფრანგი მშრომელები მტკიცე პროტესტს აცხადებენ ჟაკ დიუკლოს და ანდრე სტილის დაპატიმრების წინააღმდეგ. ტულონში პოლიციამ სროლა აუტეხა შრომის ბირჟაში გამართული მიტინგის მონაწილეებს, რის შედეგადაც არიან დაჭრილნი.

დღეს გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მისალმება ჟაკ დიუკლოსადმი. „ბედნიერი ვართ გაცნობოთ, — ნათქვამია მისალმებაში, — რომ მთელ საფრანგეთში მშვიდობისათვის საბრძოლველად დარაზმული ხალხი მტკიცედ მოითხოვს შენს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას...

დარწმუნებული იყავი, ძვირფასო ჟაკ, რომ ჩვენი მეგობრობა ურღვევია და ჩვენ მტკიცედ გვწამს სოციალიზმის გამარჯვება“.

გაზეთმა გამოაქვეყნა აგრეთვე კომპარტიის პოლიტბიუროს 30 მაისის განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ პარიზს ამერიკელი გენერალის რიჯუეის ჩამოსვლის წინაღმდეგ ხალხის 28 მაისის დემონსტრაციებმა დიდი წარმატებით ჩაიარა და ცხადყო ფრანგი ხალხის ურყევი ნება — ბოლომდე იბრძოლოს მშვიდობისათვის, საფრანგეთის მთავრობისა და მისი ამერიკელი ბატონების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანია დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადება. მარტო პარიზის დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 50 თასზე მეტმა კაცმა. „მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია მზეცობას სჩადიოდა და უნდოდა ხალხს დახოცვა,—ნათქვამია განცხადებაში, — დემონსტრანტები მტკიცედ იყვნენ დარაზმულნი. ისინი გაბატონებული იყვნენ იმ უბნებში, სადაც მათ გადაწყვიტეს ცხადეყოთ თავიანთი მისწრაფება მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის...“

„ჟაკ დიუკლოს დაპატიმრება და ის გარემოება, რომელშიც ეს დაპატიმრება მოხდა, — აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, — ეაკირი გაკვეთილი იქნება ყველა კომუნისტისათვის: ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ საჭიროა სიფხიზლე, და ცხადყოფს, თუ რაოდენ საშიშია ჯერ კიდევ არსებული ილუზია ბურჟუაზიული დემოკრატიის შესახებ...

ჟაკ დიუკლოსათვის რომ ბრალი დაედო ეა ცდილიყო შეენიღბა თავისი პოლიტიკური მიზნები, ეიშისტი პინეის რეაქციულმა მთავრობამ მიმართა ომის გამჩაღებელთა კლასიკურ პროვოკაციულ მეთოდებს, რომლებიც მოგვაგონებენ ჟორესის მოკვლას, რაიხსტაგისთვის ცეცხლის წაკიდებას და 1939 წლის ანტიკომუნისტურ რეპრესიებს.

როგორც აღნიშნულია განცხადებაში, პინეის მთავრობა ცდილობს დაფაროს ჟაკ დიუკლოს დაპატიმრების უკანონო ხასიათი და ლაპარაკობს კომუნისტურ „შეთქმულებაზე“. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნამდვილად საქმე ეხება საფრანგეთის ბურჟუაზიის შეთქმულებას მშვიდობის წინააღმდეგ, საფრანგეთის წინააღმდეგ.

პოლიტბიუროო მოუწოდებს ყველა კომუნისტს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას 28 მაისის ძლევამოსილი დემონსტრაციებით შეიძინონ ახალი ენერგია, რათა კონკრეტულად იმოქმედონ ომის საფრთხის წინააღმდეგ და მოითხოვონ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მდივნის განთავისუფლება.

„ჟაკ დიუკლოს დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის და მისი განთავისუფლებისათვის მოძრაობა, — ნათქვამია განცხადებაში, — დაუყოვნებლივ უნდა განვითარდეს. საჭიროა გავათავისუფლოთ იგი და ხელი შევუშალოთ ომის გამჩაღებლებს დანთონ მსოფლიო ხანძარი, არ მივცეთ მათ საშუალება, რომ საპყრობილეში მოკლან ჩვენი ამხანაგი.

უნდა გავათავისუფლოთ ჟაკ დიუკლო, რომელიც პარტიის უბადლო მებრძოლია მშვიდობისათვის, ფაშიზმის წინააღმდეგ“.

„ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა აგრეთვე ჟაკ დიუკლოს შემდეგი განცხადება, რომელიც მან გაკეთა გუშინ, როცა მის ბინას ჩხრეკდნენ.

„პინეი-ბრიუნის მთავრობა, რომელიც მონურად ემორჩილება ბაქტერიოლოგიური გენერალის რიჯუეის ბრძანებებს, განაგრძობს ანტიეროვნული, ანტიდემოკრატიული და ანტიმშვიდობიანი რეპრესიების საზიზღარ პოლიტიკას.

ამ გამცემლური მთავრობის აგენტები მივიდნენ ჩემი ბინის გასაჩხრეკად. ისინი ისე წავიდნენ, რომ ვერაფერი ვერ იპოვნეს, გარდა მრავალი წიგნისა, აგრეთვე „ლუმანიტეს“ არალეგალურ გამოცემათა კომპლექტებისა.

მათ შეეძლოთ ამ ემირიულ გამოცემათა ფურცლებში ენახათ 1940 წლის 10 აპრილის მოწოდება ვიშის გამცემლების და ჰიტლერელ დამპყრობლებისთვის წინააღმდეგობის გაწევისაკენ. მე პატივი მქონდა ხელი მომეწერა ამ მოწოდებისათვის ჩვენს ძვირფას ამხანაგ მორის ტორეზთან ერთად. მთავრობამ დაიწყო ბრძოლა ჩვენი დიადი პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ნაცისტთა მიმართ წინააღმდეგობის სული და გული იყო იმ პერიოდში, როცა პინეი პეტენის ეროვნული მრჩეველი იყო და ოკუპანტებთან აპარატკენდა საქმეებს...

მაგრამ დღეს, ისევე როგორც გუშინ, ხალხის წინააღმდეგობა მუშათა კლასის მეთაურობით გაიმარჯვებს ამ გამცემლებზე.

საფრანგეთის ხალხის მასები თავიანთი ერთიანობითა და ბრძოლით დაანახვებენ რიჯუეისა და მის თანამონაწილეთ, რომ ჩვენს ქვეყანას არც მონობა სურს და არც ომი“.

ანდრე სტილის დაპატიმრების გამო

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, სასამართლო ხელისუფლებმა ფაქტურად დაუსაბუთებლად ცხენ ბრალდება, წაყენებული გაზეთ „ლუმანიტეს“ მთავარი რედაქტორის ანდრე სტილის წინააღმდეგ, რომ მან „გამოიწვია ხალხის თავის შეყრა“ — ბრალდება, რომლის საფუძველზეც იგი დაპატიმრეს 25 მაისს.

სტილს გამოუცხადეს, რომ ამ ბრალდებისაგან იგი „განთავისუფლებულია“.

მაგრამ, რამდენადაც სტილის წინააღმდეგ მისი დაპატიმრების შემდეგ იუსტიციის ორგანოებმა წამოაყენეს ახალი ბრალდებანი, იგი კვლავ საპატიმროში ჰყავთ.

პოლიციის თვითნებობა საფრანგეთში

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტომ გადასცა ცნობა, რომ დღეს დილით 400 პოლიციელი გარს შემოერტყა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობას და ჩხრეკა მოახდინა.

პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა აგრეთვე მშვიდობის ეროვნული საბჭოს შენობასა და კომპარტიის მთელი რიგი ორგანიზაციების შენობებში.

გენერალ მალრე-ჟუენვილის განცხადება პოლიციის მიერ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის ჩხრეკის შესახებ

პარიზი, 1 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტე-დიმანშმა“ დღეს გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის გენერალ მალრე-ჟუენვილის განცხადება ჩხრეკის შესახებ, რაც პოლიციამ 31 მაისს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში მოახდინა.

„პოლიციელებმა, — თქვა მალრე-ჟუენვილმა, — შეამტვრიეს ცენტრალური კომიტეტის შენობის კარი. იქ მყოფმა თანამშრომლებმა მათ უთხრეს, რომ კანონით ისინი უნდა დაელოდონ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი წევრის მოსვლას. მაგრამ პოლიციელებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და გატეხეს ბევრი საწერი მაგიდა, სადაც, რა თქმა უნდა, ვერაფერი ვერ იპოვნეს, გარდა დოკუმენტებისა, რომლებიც პარტიის საქმიანობას ეხება.

კანონიერების უგულებელყოფა ისე აშკარა იყო, რომ, როცა პოლიციის კომისარს, რომელიც ამ „ოპერაციის“ მოხდენისათვის პასუხისმგებელი იყო, მივმართე, მან მიპასუხა, ჩხრეკას არ დაესწრებივარო. პოლიციის ვერც ერთმა სხვა კომისარმა, რომელიც ჩხრეკას დესწრო, ვერ მიჩვენა ამ ჩხრეკის მოხდენის ნებართვა“.

შემდეგ გენერალმა მალრე-ჟუენვილმა აღნიშნა, რომ ჩხრეკა ორჯერად მოხდა: ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელთა თანდასწრებით, როცა პოლიციის მოხელეებმა განაცხადეს, ვერაფერი ვერ ვიპოვნეთო, და თანამშრომელთა დაუსწრებლად, რომლებიც შეიყვანეს ცალკე ოთახში, სადაც მათ შეიარაღებული პოლიციელები სდარაჯობდნენ. ამ გარემოებამ შესაძლებლობა მისცა პოლიციას „ეპოვნა დოკუმენტები“.

„ცხადია, საქმე ეხება წინასწარ მომზადებულ „ოპერაციას“, — განაცხადა გენერალმა მალრე-ჟუენვილმა, — ნამდვილ შეთქმულებას, რაც მოწყობილ იქნა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, რომელიც მშვიდობის თანმიმდევარი დამცველია“.



კვირაღლეს თბილისში. ფიზკულტურელთა პარკის საცურაო აუზთან — ვარჯიში ხტომაში; კალათბურთელთა შეჯიბრება საქალაქო პირველობისათვის. თამაშობენ ფიზკულტურისა და სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კალათბურთელთა გუნდები.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ფრენბურთელთა შეჯიბრება რესპუბლიკური თასისათვის

კვირას, 1 ივნისს, თბილისში ალროვის სახელობის პარკის ფრენბურთის მოედანზე გაიხსნა საქართველოს სსრ 1952 წლის თასის გათამაშება ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის ვაჟთა, სუხუმის, ბათუმისა და სტალინირის ქალთა და ვაჟთა ის გუნდები, რომლებმაც გაიმარჯვეს საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების პირველობისათვის შეჯიბრებებში.

პირველ დღეს სუხუმის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა დამარცხეს სტალინირის გუნდები, თბილისის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა — ბათუმის გუნდები.

2 ივნისს ითამაშა სუხუმის ვაჟთა გუნდმა ქუთაისის გუნდთან. შეხვედრა მოიგეს სუხუმელმა ფრენბურთელებმა.

ამრიგად, შეჯიბრების ფინალში მოხვდნენ თბილისისა და სუხუმის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

უნივერსიტეტების სტუდენტთა მესამე სპარტაკიადის შედეგები

დამთავრდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მესამე სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა 3.000-მდე კაცი. შეჯიბრება მიმდინარეობდა სპორტის 19 სახეობაში.

საერთო მაჩვენებლების მიხედვით გუნდებს შორის პირველობა მოიპოვა ფიზიკის ფაკულტეტის გუნდმა, რომელმაც სპორტის 6 სახეობაში გაიმარჯვა და მიიღო გარდამავალი თასი. მეორე ადგილზე გამოვიდა ისტორიის ფაკულტეტის გუნდი, ხოლო მესამე ადგილზე უნივერსიტეტის გასული წლის ჩემპიონი — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდი.

სპარტაკიადის დასასრულს მოეწყო მასობრივი ასვლა კოჯრის მიდამოებში ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე. მწვერვალზე პირველი ავიდა აღმოსავლეთმეცოდნეობის ფაკულტეტის გუნდი, რომელმაც ამ მწვერვალს ნიშნად გამარჯვებისა მიაკუთვნა „აღმოსავლეთის მწვერვალის“ სახელი. გუნდს გადაეცა გარდამავალი დროშა აღპინისტური ნიშნით.

სპარტაკიადის მონაწილეებმა დაამყარეს მრავალი საუნივერსიტეტო და სასპორტო საზოგადოება „მეცნიერების“ რეკორდი. შეჯიბრებაში საკავშირო საკლასიფიკაციო ნორმები შეასრულა: პირველი თანრიგისა — 3 კაცმა, მეორე თანრიგისა — 49, ხოლო მესამე თანრიგისა — 247 კაცმა.

სპარტაკიადის მონაწილე გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს გადაეცათ ჯილდოები.

ავტომობილისტები კოლმეურნეობებისათვის

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ მოწყობილი ავტომძღოლთა მოსამზადებელი ცენტრალური საავტომობილო სკოლა წელს დიდად აფართოებს მუშაობას საკოლმეურნეო ავტოტრანსპორტის მძღოლთა მოსამზადებლად. ამ სკოლის ხელმძღვანელებმა იკისრეს მახარაძის, ზუგდიდის, გორისა და თელავის რაიონების კოლმეურნეობებში სამუშაოდ მომზადდონ 100-ზე მეტი ავტომძღოლი. სულ წელს სკოლა საკოლმეურნეო ავტოტრანსპორტის მძღოლად მოამზადებს 300 კოლმეურნე ახალგაზრდას.

იმავე სკოლამ წელს გორისა და თელავის რაიონებში მოაწყო მუდმივმოქმედი კურსები, რომ ადგილობრივ ახალგაზრდობას შეასწავლოს საავტომობილო საქმე.

წიგნების, გრაფიკული ნამუშევრების და პლაკატების გამოფენა

საქართველოს პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის კლუბში აწყობს რესპუბლიკურ გამომცემლობათა 1951-1952 წლების პროდუქციის — წიგნების, გრაფიკული ნამუშევრების და პლაკატების საანგარიშო გამოფენას.

გამოფენა 5 ივნისს გაიხსნება. გამოფენის შედეგები განხილულ იქნება ავტორების, მხატვრების, რედაქციათა და გამომცემლობათა მუშაკების, აგრეთვე მკითხველთა მასების აქტივის გაფართოებულ თათბირზე.

გამოფენის ორგანიზაციისათვის გამომცემლობებთან ეწყობა ჟიური, რომელიც შეარჩევს წიგნებს, გრაფიკულ ნამუშევრებსა და პლაკატებს რესპუბლიკურ გამოფენაზე საჩვენებლად, ხოლო საუკეთესო პროდუქციას — საკავშირო გამოფენაზე გასაგზავნად მოსკოვში. ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს 10 ივნისამდე.

ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს საგამომცემლო საქმის შემდგომ გაუმჯობესებას რესპუბლიკაში, გრაფიკული ნამუშევრებისა და პლაკატების მხატვრულ-სიუჟეტური ხარისხის ამაღლებას.

ქრონიკა

სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. გიორგი მაქსიმეს-ძე პუშკინი დანიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე ივანეს-ძე ილიჩევი დანიშნა სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაურად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 2-VI მოწონავე — სოციალისტური შეჯიბრების ახალი წარმატებებისაკენ.

საერთო სათაურით „პირველი გემები ვოლგა-დონის არხში“. წერილები: ნ. ნოვიკოვ—ვოლგა-დონი პირველ ივნისს. ნაოხნობის გახსნის გამო. მკრეკ მდინარეების გამოყენება ვოლგა-ურალის არხის ზონაში.

მშვიდობის, ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერების დასაცავად.

მოწინავე მეაბრეშუმეების ვალდებულებანი.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — ა. გურგენიძე — შემაჯამებელი საუბარი.

კ. მუმლაძე — უდარდელობა მნიშვნელოვან საქმეში.

კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლი (ნ. ი. კალინინის გარდაცვალებიდან ექვსი წლისთავის გამო).

სარწყავ კოოპერაციი ცუდად მუშაობს.

მესამე გვერდი — ამერიკელი იმპერიალისტების სისხლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ კორეაში (მიტინგები თბილისში).

პოლიციის თარეში საფრანგეთში.

თავისუფლება ჟაკ დიუკლოს.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გაძღესმათა პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

4 ივნისს

06.25 — გლინკას უვერტიურები; 07.30—საცეკვაოები ოპერებიდან; 09.20 — უკრაინული და ბელორუსიული ხალხური სიმღერები და საცეკვაოები; 11.10 — კონცერტი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; 17.15 — შოსტაკოვიჩის სუიტა „ბერლინის დაცემა“; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.15 — კონცერტი რახმანინოვის ნაწარმოებებიდან; 19.15 — გაზეთ „სახალხო განათლების“ მიმოხილვა.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

20.30 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; ქალაქის ქსელით — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით; 20.45 — საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი; 21.00 — კონსულტაცია კადრების ეკონომიური თვითგანვითარების დასახმარებლად: „მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა სოციალიზმის ეკონომიკის კანონია“; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა; 22.50 — ქართული ხალხური სიმღერები; 00.05 — საოპერო მუსიკის კონცერტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ლია სხდომაზე ა. წ. 17 ივნისს დღის 2 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) დაიცავენ დისერტაციას:

ილარიონ ანტონის-ძე აკობია — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად — თემაზე: **„მახალები ამურის ოლქის ენდემიური ჩიყვის შესწავლისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შ. რ. თოფურია** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ი. ა. ასლანიშვილი.**

პოლინა გრიგოლის ასული ლუცეტი — ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად — თემაზე: **„Применение электрокатадиновой серебряной воды для повышения стойкости некоторых лекарственных форм“.**

ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. ს. ანთაძე** და ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ე. მშვიდობაძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — ჩემი საუნჯე; **„ოქტომბერი“, „თბილისი“, „სპარტაკი“** — გაზაფხულის დღეები; **„ამირანი“** — გაზაფხულის დღეები (საზამთრო), შოპენის სიკვდილი (საზაფხულო); **26 კომისრის სახელობის** — გაზაფხულის დღეები (საზამთრო), ტყვეობიდან გაქცევა (საზაფხულო); **„ისანი“, „კომკავშირელი“** — შოპენის სიკვდილი; **კიროვის პარკი** — ახალგაზრდობის სპორტული დღესასწაული; **ორჯონიკიძის პარკი** — დაუვიწყარი 1919 წელი; **„კოლხიდა“** — არინკა (საზაფხულო), მეზღვაურის ქალიშვილი (საზამთრო); **„დიდუბე“** — დაუვიწყარი 1919 წელი (საზამთრო), ინეინერ კოჩინის შეცდომა (საზაფხულო); **„კოლმეურნე“**—დათვი და ნიღაბი.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ნ. ბარათაშვილი ($8^1/_2$ ს.); **მარჯანიშვილის სახელობის**—ვარდი ასფიქლოვანი ($8^1/_2$ ს.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძველი ჭრილობა (მე-19 ამ. 3 ს., 21-ე ამ. 7 ს.); **თოჯინების ქართული** — ბებია დარეჯანის ზღაპრები ($11^1/_2$ ს.), ამპარტავანი კურდღელი (1 ს.); **ხანკ